გაზეთი ბოლოსია, „ვერსიაა" ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№125 (881) 27 - 28 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

SOS საფრთხე!

გვ. 2

საქართველოში გენმოდიფიცირებული საკვების შემსწავლელი აკრედიტებული ლაბორატორია წლის ბოლოს ამუშავდება!

დავით საგანელიძე ყველა ბრალდებას პასუხობს!

„ვისაც რა უნდა, ის თქვას ჩემზე, თუმცა ვშიშობ, შემდეგ თავად ალმოჩნდება უხერხულ მდგომარეობაში!"

გვ. 3

„საქართველოს ბანკის" სრულიად ახალი ინტერნეტბანკი Business Online ბიზნესისთვის

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

მარტივი, სწრაფი, უსაფრთხო და კომფორტული სერვისი იურიდიული პირებისთვის

გვ. 6

ექსკლუზიური ინტერვიუ გია მაისაშვილთან

რატომ არ იბრძოლა პრეზიდენტობისთვის, რაზე ელაპარაკა ბიძინა ივანიშვილს და როდის დაბრუნდება პოლიტიკაში „მომავლის პარტიის" ლიდერი



გვ. 5

ექსკლუზიური ვერსია

რა მოუტანა გაფიცვამ რკინიგზელებს, რატომ გარიცხა ირაკლი პეტრიაშვილმა რკინიგზის „ძველი" პროფკავშირი გაერთიანებიდან და რატომ აცვიათ მემანქანეებს ლიდოს ბაზრობაზე ნაყიდი სპორტული ტანსაცმელი?

გვ. 4

უკრაინაში საპროტესტო აქციები გრძელდება

რა ელით საქართველოსა და მოლდოვას ვილნიუსის სამიტზე

გვ. 2

იულია ტიმოშენკო: „თუ იანუკოვიჩი ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს, მოსპეთ მისი ხელისუფლება მისსავე კორუფციულ მეტასტაზებთან ერთად!"

SOS საფრთხე!

საქართველოში გენმოდიფიცირებული საკვების შემსწავლელი აკრედიტებული ლაბორატორია წლის ბოლოს ამუშავდება!

ბრუსუდან შელია
557-100-768

სურსათისა და ზოგადად საკვები პროდუქტის უსაფრთხოება, როგორც ჩანს, პოლიტიკისგან დაღლილ მოსახლეობას ყველაზე მეტად აწუხებს. ამის დასტურია ის უამრავი სატელეფონო ზარი თუ გამოხმაურება, რაც „ვერსიის“ ახალ რუბრიკას მოჰყვა და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველი პროდუქტის დადგენას ემსახურება.

უკვე წლებია საზოგადოების აზრი გენმოდიფიცირებულ საკვებთან დაკავშირებით ორად იყოფა. ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელოვნურად შექმნილი საკვები კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა, ნაწილი კი მის უარყოფით თვისებებზე საუბრობს. რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ადამიანს გენმოდიფიცირებული საკვების ინტენსიურად მიღებამ, ამაზე მსოფლიო მეცნიერები და მედიკოსები უკვე კარგა ხანია ალაპარაკდნენ, თუმცა დარწმუნებით მხოლოდ იმიტომ ვერ საუბრობენ, რომ მისი ინტენსიური გამოყენებიდან საკმაოდ მცირე დროა გასული, რაც სურათს ჯერ ვერ შექმნის. ამიტომაც ამასთან დაკავშირებით არ არსებობს ჯანდაცვის მსოფლიო ან სხვა ორგანიზაციების რაიმე სახის კომპეტენტური რეკომენდაცია, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ადამიანის ჯანმრთელობაზე გენმოდიფიცირებულ სურსათის მავნე ზემოქმედებაზე, თუმცა ქვეყანაში არსებული მოთხოვნების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სურსათი ან მისი ინგრედიენტი შეიცავს 0,9 %-ზე მეტ გმო-ს, სავალდებულოა, ეს ინფორმაცია ეტიკეტზე იყოს დატანებული. საქართველოს კანონმდებლობა არ კრძალავს გმო-ს შემცველი სურსათის სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებას მხოლოდ ერთი პირობით – მომხმარებელი ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს, თუმცა სწორედ ეს არის პრობლემა, საქართველოში შემოტანილი პროდუქტის უმეტესობაზე არ არის მითითებული ინფორმაცია სურსათში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) შემცველობის შესახებ.

„ვერსიის“ მკითხველთა უმეტესობა ინტერესდება პრობლემით, არსებობს თუ არა საქართველოში ლაბორატორია, რომელიც გენეტიკურად მოდიფიცირებულ პროდუქციას შეამოწმებს და მომხმარებელს ტყუილისგან დაიცვას. ამის გასარკვევად, **სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსს, კახა სოხაძეს დავუკავშირდით, რომელმაც განაცხადა:**

— დღეს საქართველოში გენმოდიფიცირებული საკვების შემსწავლელი აკრედიტებული ლაბორატორია არ არსებობს, თუმცა ჩემი ინფორმაციით, „ხარისხის ლაბორატორია“ აკრედიტირების ფორმალურ პროცესს მალე დაასრულებს. აღნიშნული ლაბორატორიის შესახებ დეტალები აკრედიტაციის ცენტრშიც გავარკვიეთ და, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე ფორმალური პროცედურები დასრულდება, რის შემდეგაც გენმოდიფიცირებული საკვების შესწავლას შევძლებთ.

— **ანუ დღეს გენმოდიფიცირებული პროდუქტი ყოველგვარი კონტროლის გარეშე იყიდება?**

— დიახ, სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი ტიპის კვლევებით განებივრებულები არ ვართ.

— **მას შემდეგ, რაც ლაბორატორია აკრედიტაციას მიიღებს, მისი მეშვეობით, კერძო კომპანია ან თავად მომხმარებელი შეძლებს გენმოდიფიცირებული საკვების შემოწმებას?**

— ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სურსათის სფეროში ლაბორატორიული გამოკვლევა მხოლოდ აკრედიტებულ ლაბორატორიაში უნდა განხორციელდეს. ბუნებრივია, ამ ლაბორატორიით სარგებლობას კერძო კომპანიებიც შეძლებენ, თუმცა ვიმეორებ, პირველ რიგში, მან აკრედიტაცია უნდა მიიღოს, რადგან გამოკვლევის შედეგი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა სამართლებრივად.

— **თქვენი ინფორმაციით, რა ეტაპზეა კანონპროექტი გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ, რომელიც საშემოდგომო სესიაზე უნდა მიიღონ?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით საკვების უვნებლობის სააგენტო კომპეტენტური არ არის, რადგან კანონში სოფლის მეურნეობის სფეროების სხვა მიმართულებებზეა საუბარი. კერძოდ, მცენარეებსა და სურსათის პრობლემებს ნაკლებად შეიცავს. როგორც ვიცი, კანონპროექტი განხილვის სტადიაშია და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ პარლამენტისგან დამტკიცებას ელოდება.

აქცია

რა ელით საქართველოსა და მოლდოვას ვილნიუსის სამიტზე

„რა ელით საქართველოსა და მოლდოვას ვილნიუსის სამიტზე“, — ამ სათაურით აქვეყნებს ჯუდი დემფსის სტატიას კარნეგი ცენტრი. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ვილნიუსის სამიტამდე ევროპელ დიპლომატებს რუსეთის შემდგომ ნაბიჯებზე ილუზიები აღარ უნდა ჰქონდეთ.

„ვლადიმერ პუტინი უკრაინასთან მიღწეულ წარმატებაზე შეჩერებას არ აპირებს. მას მერე, რაც პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი აიძულა, უარი ეთქვა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე, რუსეთის პრეზიდენტი ყურადღებას საქართველოსა და მოლდოვასკენ მიმართავს“, — წერს ჯუდი დემფსი და დასძენს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან ვილნიუსში საავჭრო შეთანხმების ხელმოწერის ერთგული მხოლოდ ორი ქვეყანაღა რჩება. უკრაინის გარდა, სომხეთმა, აზერბაიჯანმა და ბელორუსმა უკვე აქციეს ზურგი ამ გარიგებას.

„საქართველო და მოლდოვა რთული არჩევანის წინაშე დგანან: ან ევროპასთან დაახლოების ერთგულნი უნდა დარჩნენ და რუსეთისგან მკაცრი ეკონომიკური და სავაჭრო რეაგირება მიიღონ, ან მათაც თქვან უარი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე“, — აღნიშნავს ჯუდი დემფსი და იხსენებს, რომ პირველი ვარიანტის არჩევის შემთხვევაში, ორი კვირის წინ, ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ევროკავშირის რეგიონული ექსპერტები და დიპლომატები ესწრებოდნენ, დიმიტრი როგოზინი თავხედურად იმუქრებოდა და აცხადებდა, რომ რუსეთი გადაუკეტავდა საზღვრებს ნებისმიერი ქვეყნის საქონელს, ვინც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას გააფორმებდა, ამ ქვეყნების შრომით მიგრანტებს კი რუსეთში დასაქმება აეკრძალებათ.

„ეს არ არის მხოლოდ მუქარა. ჩვენ უკვე გავხდით იმის მოწმენი, თუ როგორ შეაჩერა რუსეთმა, მეზობლების ეკონომიკისთვის მძიმე ზიანის მიყენების განზრახვით, რუსეთის ბაზრისთვის განკუთვნილი უკრაინის საექსპორტო საქონლის 30 პროცენტზე მეტი. საქართველომ და მოლდოვამ კარგად იციან, რომ რუსეთს შეუძლია თავისი ენერგორესურსები და უზარმაზარი ბაზრები მათ წინააღმდეგ იარაღად გამოიყენოს, რომ ისინიც აიძულოს, მის მოთხოვნებს დაემორჩილონ. ამ ქვეყნების ეკონომიკა რუსეთისგან საკმარისად დამოუკიდებელი არ არის და არც მათი ენერგორესურსების მრავალფეროვნებაა იმისთვის საკმარისი, რომ რუსეთის შანტაჟს გვერდი აუარონ“, — წერს ჯუდი დემფსი და აღნიშნავს, რომ საქართველოსა და მოლდოვასთვის მეორე ვარიანტი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე უარია, — **„პროცესი მოლდოვას დარად, არც საქართველოსთვის იქნება ადვილი. ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობას არ სურს ევროპასთან დაახლოების ეკონომიკურ და სტრატეგიულ ამბიციებზე უარის თქმა, მაგრამ მას სურს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაც“.**

შედეგები, შესაძლოა, სერიოზული გამოდგეს თავად ევროკავშირისთვისაც. თუ მოლდოვა და საქართველო ევროკავშირთან შეთანხმებას ხელს არ მოაწერენ, აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის, რომელიც უკვე დაზარალდა უკრაინის გადაწყვეტილებით, ეს ფატალური დარტყმა იქნება, ხოლო თუ მაინც მოაწერენ, ევროკავშირს მოუწევს, სწრაფად იმოქმედოს რუსეთის ნებისმიერი ნეგატიური რეაგირების მოსაგერიებლად და ორივე მხარემ რაც შეიძლება მალე უნდა შეასრულოს შეთანხმების სავაჭრო ასპექტები.

„ინტერპრესნიუსი“

უკრაინაში საპროტესტო აქციები გრძელდება

იულია ტიმოშენკო: „თუ იანუკოვიჩი ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს, მოსპეთ მისი ხელისუფლება მისსავე კორუფციულ მეტასტაზებთან ერთად!“

უკრაინის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ უვადო შიმშილობა გამოაცხადა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნით, — იუწყება „ბიბისი“ ტიმოშენკოს ადვოკატის სერგეი ვლასენკოს განცხადებაზე დაყრდნობით და აცხადებს, რომ ყოფილი პრემიერი უკრაინელებს ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდებს: **„არ დანებდეთ, გააგრძელეთ წინსვლა გამარჯვებისკენ. თუ 29 ნოემბერს იანუკოვიჩი ასოცირების ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს, მოსპეთ მისი ხელისუფლება მისსავე კორუფციულ მეტასტაზებთან ერთად!“**

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი კი უკრაინელებისადმი მიმართვას ავრცელებს. სადაც აღნიშნავს, რომ ქვეყანა წნეხის ქვეშაა, რის შედეგადაც შეჩერდება წარმოებები და მილიონობით ადამიანი ქუჩაში აღმოჩნდება. მისივე თქმით, მიუხედავად ზეწოლისა, უკრაინას არ გააჩნია ევროპული სტანდარტების ალტერნატივა: **„ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, სადაც ადამიანთა უფლებები, კანონის წინაშე თანასწორობა, არჩევანის უფლება, სოციალური დაცვა — ყველასთვის მთავარი ფასეულობები იქნება...“** უკრაინის პრეზიდენტი ამბობს, რომ მისმა ქვეყანამ არაერთი სირთულე გადალახა, განსაკუთრებული იყო ეკონომიკური პრობლემები, თუმცა იგი არასოდეს გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც უკრაინას ზიანს მიაყენებს: **„უკრაინელი ხალხის ნება იყო და იქნება გადამწყვეტი ჩემს ყველა გადაწყვეტილებაში. დარწმუნებული ვარ, ყველა სირთულეს გადავლახავთ, რადგან არ არსებობს არც ერთი წინაღობა, რომელსაც ვერ გადალახავს ბრძენი და ერთსულოვანი ერი!“**

უკრაინას მძიმე დღეები უდგას. ასეთი მასშტაბური აქციები ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ არ გამართულა. ევროინტეგრაციის მომხრე უკრაინელები კიევის ცენტრში 21 ნოემბერს მას შემდეგ შეიკრიბნენ, რაც უკრაინის მთავრობამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა შეაჩერა. საპროტესტო აქციები ორი დღეა სამართალდამცავებთან შეტაკებებისა და ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზის გამოყენების ფონზე მიმდინარეობს, თუმცა უკრაინელები ჯიუტად აგრძელებენ პროტესტს და აცხადებენ, რომ უკრაინა ევროპის ნაწილია და რუსეთისკენ აღარ დაბრუნდება!

მოახდენს თუ არა გავლენას უკრაინაში მიმდინარე პროცესები საქართველოზე, ოპოზიცია აცხადებს, რომ რუსეთი უკრაინის შემდეგ, საქართველოსთვისაც მოიცლის და ეკონომიკური ბერკეტებით აიძულებს, უარი თქვას ევროკავშირთან ინტეგრაციაზე.

„საქართველოსა და მოლდოვას აქვთ ჩვენი მხარდაჭერა იმ რეფორმების განსახორციელებლად, რაც ევროკავშირთან ინტეგრაციისთვისაა საჭირო“, — განაცხადა ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ, — **„თუ საქართველო ერთგული დარჩება იმ ფასეულობებისა, რაც მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის და დაამყარებს კანონის უზენაესობას, არ დაუშვებს შერჩევით სამართალსა და ქვეყანაში იქნება თავისუფალი მედია, მაშინ ის უფრო მეტად დაუახლოვდება ევროკავშირს. რაც უფრო ახლოს მივა საქართველო ევროკავშირთან, მით უკეთ დავიცავთ მას“.**

ფულეს განცხადებით, საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულება მომავალი წლის სექტემბრის ბოლოსთვის გაფორმდება. რაც შეეხება უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებას ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების მზადების პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით, ევროკომისარმა აღნიშნა: **„ევროკავშირი კვლავ მზად არის ასოცირების ხელშეკრულება გააფორმოს უკრაინასთან. თუმცა, ეს საკითხი ახლა თავად უკრაინის გადასაწყვეტია. ჩვენ ასევე ცხადად დავაფიქსირეთ, რომ ევროკავშირი აგრძელებს რუსეთთან დიალოგს, რათა განვუმარტოთ მას, თუ რა ბენეფიტიები მოაქვს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროკავშირთან ურთიერთობას“.**

„ვერსიანიუსი“

დავით საგანელიძე ყველა ბრალდებას პასუხობს!

„ვისაც რა უნდა, ის თქვას ჩემზე, თუმცა ვშიშობ, შემდეგ თავად აღმოჩნდება უხერხულ მდგომარეობაში!“

ეროსუდან შელია
557-100-768

რა როლი შეასრულა პარტიაში „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრთა რაოდენობის შემცირებაში და გარიცხავს თუ არა უმრავლესობის რიგებიდან დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს, რომელიც მას კოალიციის წარმომადგენლების შევიწროებაში ადანაშაულებს, ამასთან, რა შენიშვნები აქვს პროკურატურასთან და როგორ დაამტკიცებს, რომ არ იყო უშიშროების აგენტი? — საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ბრალდებებს პასუხობს.

— პოლიტსაბჭო ახალი შემადგენლობით ბევრად ქმედითუნარიანი, ოპერატიული და მოქნილი იქნება. 21-კაციანი პოლიტსაბჭო რთული სამართავი იყო, ხშირად ყველა წევრის შეკრებაც კი ჭირდა — ზოგი მთავრობის წარმომადგენელი იყო, ზოგიც პარლამენტის, ამიტომ სხდომაზე მოსვლას ვერ ახერხებდნენ. ვფიქრობ, ახლა შემადგენლობაც სწორად დასახელდა — ეფექტურ გადაწყვეტილებებს მივიღებთ და ბევრად საქმიანი ურთიერთობაც ჩამოყალიბდება.

— პოლიტსაბჭოს რიგები ზაქარია ქუცნაშვილმა, გუგული მაღრაძემ, მურმან დუმბაძემ, ვანო კიღურაძემ, დავით ფაცაციამ დატოვეს. ეს გადაწყვეტილება პარტიაში დაპირისპირების საფუძველი არ გახდება?

— შესაძლოა, ვიღაცას გული დაწყდა, რომ პოლიტსაბჭოს წევრად აღარ მიიჩნევა, მაგრამ ეს ბუნებრივი პროცესია. გავა წლები და ეს შემადგენლობაც შეიცვლება. ახლა საქმეს ასე სჭირდება — ადამიანური ემოციები გვერდით უნდა გადავდოთ და პრაგმატულად ვიმოქმედოთ.

— სავარაუდოდ, პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობა პირველივე სხდომაზე დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის უმრავლესობიდან გარიცხვას გეგმავს. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?

— დავით ლორთქიფანიძეზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია. მისი პოლიტიკური მომავალი კი პოლიტსაბჭომ უნდა გადაწყვიტოს. მსგავსი განცხადებები როგორც პოლიტიკაში, ისე საზოგადოებაში შესაბამისადაც ფასდება. ჩემზე, ვისაც რა სურს, ის თქვას, თუმცა ვშიშობ, შემდეგ თავად აღმოჩნდება უხერხულ მდგომარეობაში.

— თანაგუნდელი დავით ლორთქიფანიძე უმრავლესობის წარმომადგენელთა შევიწროებაში საჯაროდ გდებთ ბრალს. თქვენი მოთხოვნით, მსგავსი განცხადებებისთვის იგი პოლიტიკურად დაისჯება?

— ჩემს შესახებ ათასი სისულელე თქმულა! დავით საგანელიძე არ მოსწონს მას, ვისაც არ აძლევს საშუალებას, საქმეები თავის ჭკუაზე აკეთონ.

> **დიახ, არ მოვწონვარ იმ ადამიანებს, რომლებიც პარტიულ დისციპლინას არ იცავენ. მათ მიმართ ხშირ შემთხვევაში მკაცრი ვარ. არ ვიცი, ვის რა ეწყინება. საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეს ვხელმძღვანელობ, რომლის პირნათლად შესრულებასაც მაქსიმალურად ვცდილობ. თუ ვინმეს რამე არ მოსწონს, ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს. ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ამას მომავალი და შედეგები აჩვენებს.**

— თუ პოლიტსაბჭო დეპუტატის გარიცხვის გადაწყვეტილებას მიიღებს, დავით ლორთქიფანიძე თქვენს წინააღმდეგ კონკრეტული ფაქტების გასაჯაროებასაც გეგმავს.

— ვფიქრობ, ბევრ დროს ვუთმობთ იმ ადამიანებს, რომლებიც თავისი გამოხდომებით საზოგადოების ყურადღების მიქცევას ცდილობენ. რაც მეტს ვიტყვი ამ ადამიანზე, მით უფრო პოპულარულს გავხდი. დავით ლორთქიფანიძეს ვურჩევდი თავი პარლამენტში საქმიანობით გამოეჩინა.

— თქვენს წინააღმდეგ კიდევ ერთი ბრალდება ჟურნალისტმა ელისო კილაძემ გააჟღერა და კუდ-ის აგენტი გიწოდათ. პასუხად მის წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივარი შეიტანეთ, თუმცა საინტერესოა, როგორ აპირებთ იმის დამტკიცებას, რომ აგენტი არ ხართ?

— პროკურატურაში სარჩელი მხოლოდ იმ მიზნით შევიტანე, რომ ელისო კილაძის მიერ გამოქვეყნებული ყალბი დოკუმენტების შესასწავლად გამოძიება დაწყებულიყო. მაშინ იმ ადამიანების დაკითხვაც მოვითხოვე, რომლებიც ამ საქმეში ფიგურირებენ, მათ შორის — ჩემიც. მოგეხსენებათ, საპარლამენტო იმუნიტეტი მოვიხსენი — ნებისმიერი კითხვისთვის მზად ვარ, ამიტომ ვითხოვ, საქმის გამოძიება ჩემი დაკითხვით დაიწყონ. ვაიჟურნალისტი ელისო კილაძე, რომელმაც არ იცის, რა თემაზე უნდა დაწეროს, აცხადებს, რომ თურმე თანამშრომლობისთვის მზადაა. თანამშრომლობა მხოლოდ შენობაში მისვლას არ გულისხმობს — დაასახელოს იმ ადამიანების ვინაობა, რომლებმაც გაყალბებული ფურცლები მიაწოდა. ის ჟურნალისტის მანტიას ეფარება და წყაროსაც ამის გამო საგულდაგულოდ მალავს, მაგრამ გაჩერებას არ ვაპირებ — მოვითხოვ, ყველაფერი ბოლომდე გაირკვეს. სხვათა შორის, მთავრობის სხდომაზეც პრემიერ-მინისტრს მოვუწოდე, ჩემი საჩივრის გამოძიება დროულად დაწყებულიყო. მეტი რაღა გავაკეთო? თუ საქართველოში ერთი ადამიანი მაინც არსებობს, რომელიც ფიქრობს, რომ აგენტი ვარ და ვიღაცას ვემსახურები, პარლამენტში ყოფნის უფლება არ მაქვს, მაგრამ ყალბი დოკუმენტების ფრიალს არავის ვაპატიებ! ამ საკითხზე არჩილს კბილაშვილსა და ლაშა ნაცვლიშვილს რამდენჯერმე ვესაუბრე.

— მაშინ რატომ არ დაიწყო ამ დრომდე გამოძიება?

— არ ვიცი, ფაქტია, რომ ჯერ არ დაწყებულა.

> **ახალ პროკურატურასაც მივმართავ — როცა ქვეყანაში გამყალბებელთა ბანდა არსებობს, რომლებმაც მთელ პარტიას შეურაცხყოფა მიაყენა, როგორც მინიმუმ, კითხვებზე პასუხი მაინც უნდა გაგვცენ.**

— გაჩნდა მოლოდინი, რომ ახალი მთავარი პროკურორის პირობებში, ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ საქმის წარმოება აქტიურ ფაზაში გადავა...

— ადამიანებს, ვინც წინა ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე იყო, საზოგადოების წინაშე ბრალი მიუძღვით და ამიტომ მათი საქმეები პროკურატურამ დროულად უნდა შეისწავლოს, სასამართლომ კი შესაბამისი განაჩენი გამოიტანოს. ნაციონალური მოძრაობის დამნაშავეთა ხროვა სახელმწიფოს 10 წელი მართავდა ისევე, როგორც 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ სახელით პარლამენტში შემოცვივდნენ და მაგიდებზე ახტნენ. ჩვენი ამოცანაა, თითოეული დამნაშავე სათანადოდ დაისაჯოს, რაც იქნება პრევენცია და მაგალითი მომავალი ხელისუფლებისთვისაც. როცა დამნაშავეების დასჯაზე ვსაუბრობ, პირველ რიგში, საპარლამენტო ოპოზიციის წევრებს ვგულისხმობ, რომლებმაც პარლამენტის მანდატებს შეაფარეს თავი, თუმცა მოვა დრო და გპირდებით, ყველა დამნაშავე პასუხს აგებს.

— ხშირად მიანიშნებთ კოალიციის შესაძლო დაშლაზეც. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ მმართველი გუნდი მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთიანობას შეინარჩუნებს?

— კოალიციის დაშლა გარდაუვალ პროცესად მიმაჩნია, თუმცა ამ ეტაპზე, ამას კატეგორიულად გამოვრიცხავ. არჩევნებამდე ამომრჩეველს დავპირდით, რომ საარჩევნო პროგრამის სრულად შესრულებაზე ერთად ვიზრუნებთ. ამისთვის წინ კიდევ სამი წელი გვაქვს და, დარწმუნებული ვარ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთად ვივლით. მერე კი ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

შეწყალების კომისიას ალექსანდრე ელისაშვილი უხელმძღვანელებს

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა შეწყალების კომისიის ახალი შემდგენლობა და თავმჯდომარე წარადგინა. კომისია 12 წევრისგან შედგება და მისი წევრები საზოგადოებისთვის განსაკუთრებით პატივსაცემი ადამიანები არიან, მათ შორის, ძველი კომისიიდანაც.

„კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე ელისაშვილია, დღეს შეხვედრაზე საგანგებო მადლობა ვუთხარი კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს, რომ დათანხმდნენ ასეთ მნიშვნელოვან და რთულ სამსახურს. კომისია იმუშავებს ამჟამად მიმდინარე საქმეებზე და ასევე თვითონ კომისიის დებულებაზე, რათა ის დაიხვეწოს“, — განაცხადა მარგველაშვილმა. მისივე თქმით, შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმი იყო ის ნდობა, რაც ამ ადამიანებს საზოგადოების მხრიდან აქვთ და ისიც, რომ ისინი არ არიან რამენაირად დაკავშირებული რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან.

როგორც შეწყალების კომისიის ახალმა თავმჯდომარემ ალექსანდრე ელისაშვილმა განაცხადა, ახალი შემადგენლობა შეხვედრას უახლოეს მომავალში გამართავს, ხოლო შესაწყალებელ პირთა პირველ სიას პრეზიდენტს საახალწლოდ წარუდგენს.

„გუშინ გვქონდა პირველი სამუშაო შეხვედრა. ძალიან ბევრი საქმეა. უახლოეს მომავალში გვექნება შეხვედრა, ზუსტად ვერ გეტყვით, როდის, მაგრამ საახალწლოდ ვეცდებით, პრეზიდენტს უკვე პირველი სია წარვუდგინოთ, თუ ვის უნდა შეეხოს შეწყალება“, — განაცხადა ელისაშვილმა, რომელმაც კომისიის თავმჯდომარის პოსტზე ელენე თევდორაძე ჩაანაცვლა, რაც შეეხება კომისიას, ძველი წევრებიდან მუშაობას გააგრძელებს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, მწერალი გივი შაჰნაზარი და მიტროპოლიტი თეოდორე, ახალი წევრები კი არიან ლია მუხაშავრია, თამარ ხიდაშელი, ეკა გიგაური, ბასა ჯანიკაშვილი, ზვიად ქორიძე, თეა გოგოტიშვილი, კოტე ჯანდიერი.

„ვერსიანიუსი“

დავით ნარმანია არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების ნაწილისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი პრესკონფერენციაზე თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს გამოეხმაურა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი კოდექსის შემუშავების პროცესში ჩართულნი არ იყვნენ:

„შემიძლია დავასახელო არასაპარლამენტო ოპოზიციის ის წარმომადგენლები, რომლებიც თვითმმართველობის კოდექსის შემუშავების პროცესში იყვნენ ჩართულნი და ვიდრე ეს პროექტი განსახილველად გამოვიდოდა, ზოგიერთ მათგანთან შესაბამისი კონსულტაციები იყო გავლილი, ისინი ძალიან კარგად იცნობდნენ საკითხს. უბრალოდ, ახლა პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად სჭირდებათ ეს საკითხი და ამიტომ გადმოვიდნენ შეტევაზე. მათ, ვინც იცნობდა ამ კოდექსის პროექტს, ვურჩევდი, აღიარონ სიმართლე, სხვა შემთხვევაში მათ სახელებსა და გვარებს დავასახელებ და ძალიან ცუდ დღეში ჩავარდებიან... თუ ისინი საჯაროდ არ მოიხდიან ბოდიშს, მაშინ მათ სახელებსა და გვარებს დავასახელებ“.

„პირველი“

„ორხელისუფლებიანობა“ რკინიგზაზე

რა მოუტანა გაფიცვამ რკინიგზელებს, რატომ გარიცხა ირაკლი პეტრიაშვილმა რკინიგზის „ძველი“ პროფკავშირი გაერთიანებიდან და რატომ აცვიათ მემანქანეებს ლილოს ბაზრობაზე ნაყიდი სპორტული ტანსაცმელი?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

2013 წლის 14 ნოემბერს რკინიგზელები გაიფიცნენ და საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციისგან ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას, გამჭვირვალე საპრემიო სისტემის დაწესებას, სტაჟისა და კვალიფიკაციის მიხედვით დანამატების გაცემას ითხოვდნენ. დასაქმებულთა ინტერესების დაცვის მხრივ, რკინიგზა ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, სადაც ორი, სრულიად დამოუკიდებელი პროფკავშირი მოქმედებს. 14 ნოემბრის გაფიცვა „ახალი“ პროფკავშირების ინიცირებული იყო, რასაც „ძველები“ აქტიურად უპირისპირდებოდნენ. „ახლებს“ (პროფკავშირს და არა პოლიტიკურ პარტიას) მხარს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება და მისი თავმჯდომარე, ირაკლი პეტრიაშვილი უჭერს. მისი თქმით, „ძველები“ რკინიგზის ადმინისტრაციის ინტერესებს უფრო იცავენ, ვიდრე დასაქმებულების, ამიტომ პროფკავშირების გაერთიანებამ რკინიგზის ადმინისტრაციაში ალტერნატიული, სრულიად ახალი პროფკავშირული გაერთიანება დააფუძნა. 14 ნოემბრის გაფიცვას კი შედეგი ნამდვილად მოჰყვა, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა ახალ, კოლექტიურ ხელშეკრულებაზე მუშაობს, რომელსაც რკინიგზელები ხელს მიმდინარე წლის ბოლომდე მოაწერენ. ამ ხელშეკრულებაში ყველა ის პუნქტია გათვალისწინებული, რასაც გაფიცულები ითხოვდნენ. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რა ხდება საქართველოს რკინიგზაში და ორივე დაპირისპირებული მხარის პოზიცია დააფიქსირა, რკინიგზის ადმინისტრაციის პოზიციის ჩაწერაც სურდა, მაგრამ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, დაჩი ცაგურიამ საკუთარი ფუნქციის შესრულება რატომღაც ვერ მოახერხა, ბოლოს კი ტელეფონი საერთოდ გათიშა.

რატომ ეწინააღმდეგება „ძველი“ პროფკავშირი გაფიცვას

ჰამლეტ ლომიძე ადრე საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წევრი იყო, მაგრამ ირაკლი პეტრიაშვილმა ის და მისი ორგანიზაცია გაერთიანებიდან გარიცხა. „ვერსიასთან“ ექსკლუზიური ინტერვიუ რკინიგზის პროფკავშირული („ძველი“) ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ჰამლეტ ლომიძემ სწორედ ამ თემით დაიწყო:

— აშკარაა, რომ 14 ნოემბრის გაფიცვა, როგორც აქცია, ინსპირირებული იყო ნაციონალური მოძრაობის მომხრეების მიერ. სხვას, რკინიგზაზე არეულობა არავის სურს, მით უფრო, რომ მიმდინარეობს მუშაობა კოლექტიურ ხელშეკრულებაზე. საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ რკინიგზელთა პროფესიული კავშირი გახლიჩა და საკუთარი, ჯიბის პროფკავშირები ჩამოაყალიბა, ამიტომ არ მივიღეთ მონაწილეობა გაფიცვაში, რომლის არც საჭიროება იყო და არც დრო. საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის ორგანიზებული გაფიცვა წმინდა წყლის ავანტიურა იყო, რომელსაც საკუთარი პოპულარიზაცია და საზოგადოებაში სახელის დამკვიდრება აინტერესებდა. წინა ხელისუფლების პირობებში, ფულის უკანონო ხარჯვასა და უკანონო შემცირებებს ვერ ვეგუებოდი. მილიონობით ლარი დაიხარჯა თბილისის აეროპორტის რკინიგზაზე, მაგრამ ყოვლად გამოუსადეგარი პროექტი გამოდგა. 1 200 000 000 ლარის ვალი აქვს საქართველოს რკინიგზას შემოვლითი რკინიგზის პროექტის გამო, რის გამოც ყოველ წელს 70 000 000 ლარს იხდიან, რაც რკინიგზისთვის ზედმეტი ტვირთია. ერთი წლის წინ, რკინიგზაზე ახალი გამოცდილი კადრები მოვიდნენ, საქმისმოყვარულები არიან და ეს რკინიგზასაც შეეტყო, რადგან დასაქმებულთა ხელფასი 30%-ით გაიზარდა.

— ბატონო ჰამლეტ, გაფიცული რკინიგზელები 14 ნოემბერს ხელფასის მომატებას ითხოვდნენ...

— ფაქტია, ხელფასი გაიზარდა. სახელფასო ფონდი 99 000 000 ლარი იყო, ახლა 130 000 000 ლარია, თუმცა ინფრასტრუქტურა მოშლილია, ტექნიკა მოძველებული, ამას ყოველწლიურად გადასახდელი 70 000 000-ლარიანი ვალიც ემატება. ხალხი უკმაყოფილოა, რადგან მათი ცხოვრების დონე არ გაუმჯობესებულა. კაცი ვერ ვნახე რკინიგზაზე, რომელსაც ბანკში ვალი არ აქვს. ესაა მიზეზი, რის გამოც რკინიგზელებმა ხელფასის მატება სათანადოდ ვერ იგრძნეს. სამწუხაროდ, ხელფასი ნაჩქარევად გაიზარდა, ბევრი სპეციალობა და თანამდებობა გამორჩათ და, ცხადია, ისინიც უკმაყოფილონი არიან — მაგალითად, სადგურის მორიგეს, გამსინჯველსა და უფროს გამსინჯველს ერთი და იგივე ხელფასი აქვთ, არადა, უფროსი გამსინჯველისა და სადგურის მორიგის ხელფასი 40%-ით მეტი იყო. თავისთავად ცხადია, ეს ყველაფერი უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ რკინიგზის ხელმძღვანელობა ახალ, კოლექტიურ ხელშეკრულებებზე უკვე მუშაობს. ჩვენი სურვილია, რკინიგზელების მიერ შესრულებული სამუშაო შესაბამისობაში იყოს ხელფასთან. რაც შეეხება გაფიცვას, ეს გაფიცვაც არ ყოფილა, რადგან 14 ნოემბერს საქართველოს რკინიგზამ 60 000 ტონა ტვირთი გადაზიდა.

— გასაგებია, მაგრამ ერთმა ადამიანმაც რომ დააფიქსიროს უკმაყოფილება, ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემა რეალურად არსებობს, არ მეთანხმებით?

— პრობლემა არსებობს, მაგრამ გადაუჭრელი ნამდვილად არ არის. რკინიგზის ხელმძღვანელობასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და კოლექტიური ხელშეკრულების მუხლებში ყველა ის მოთხოვნაა გაწერილი, რაც რკინიგზელებმა გაფიცვაზე გააჟღერეს. გულწრფელად გეუბნებით, შეთანხმება უკვე მიღწეულია და ახალ, კოლექტიურ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის პროცესი მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე დასრულდება.

— ახალი პროფკავშირის წევრები ვინ არიან ან რატომ შეიქმნა კიდევ ერთი პროფკავშირული ორგანიზაცია რკინიგზაზე?

— ახალ პროფკავშირებს ვიტალი გიორგაძე ხელმძღვანელობს. თავად არა, მაგრამ მშობლები არიან რკინიგზელები. ამის თქმას არ ვაპირებდი, მაგრამ ხშირი გაცდენების გამო, ვიტალი გიორგაძის მამა სამსახურიდან გაათავისუფლეს, მან კი პროფკავშირული მუშაობა იმით დაიწყო, რომ მამამისი სამსახურში აღადგინა. ეს ორგანიზაცია გაერთიანებულმა პროფკავშირებმა ჩანერგა რკინიგზაზე. მათი მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი პიარაქცია ჩაატარონ და გაცილებით მეტი გრანტი მოიპოვონ.

— რატომ გაგრიცხათ ირაკლი პეტრიაშვილმა პროფკავშირებიდან?

— ეს ამბავი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, მაგრამ ტირილს არ ვაპირებთ. სამი წლის მანძილზე, საწევროს სახით, 210 000 ლარი გვაქვს გადახდილი პროფგაერთიანებაში. როდესაც გაგვიჭირდა და 200-ლარიან ხელფასსაც კი ვერ ვიღებდი, ცხადია, საწევრო აღარ გადაგვიხდია. რაც შეეხება გაერთიანებულ პროფკავშირებს, ზედმეტი ხარჯისგან გავთავისუფლდით, თორემ სხვა მხრივ, ჩემი ორგანიზაცია რკინიგზისა და რკინიგზის მშენებელთა საერთაშორისო კონფედერაციის წევრია, სადაც დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნები არიან გაერთიანებულნი. ისე, კანონი გვაძლევს საშუალებას, ამ ორგანიზაციაში მეორე პროფკავშირიც იყოს.

— ამბობთ, გაფიცვა ახალი პროფკავშირების პიარკამპანიის ნაწილი იყო, მაგრამ ბატონი ირაკლი პირიქით, მათ დისკრედიტაციასა და რკინიგზის ხელმძღვანელობასთან ალიანსში გდებთ ბრალს, რადგან დასაქმებულების ინტერესებს არ იცავთ. რატომ არ აპროტესტებთ, რომ მემანქანეებს ლილოს ბაზრობაზე ნაყიდი სპორტული ტანსაცმელი და ბოტასები აცვიათ?

— სპეცტანსაცმელთან დაკავშირებით, მართლაც, სერიოზული პრობლემაა და ამას არც ვმალავთ. საკმაოდ რთული სიტუაციაა, რადგან ცხადდება შესყიდვა, კონკურსში კი ერთმა კომპანიამ უნდა გაიმარჯვოს. სამწუხაროდ, კონკურსის გამოცხადებიდან, გამარჯვებული კომპანიის გამოცხადებამდე ძალიან დიდი დრო გადის. არადა, კონკურსი უკვე ჩატარდა და გამარჯვებულიც გამოვლინდა, გაზაფხულზე, ახალი სპეცტანსაცმლის დიზაინიც ვაჩვენეთ რკინიგზელებს, მაგრამ გიმეორებთ, ხარვეზები ნამდვილად არის. პრობლემები რომ არ იყოს, პროფკავშირულ ორგანიზაციას კი არ ვუხელმძღვანელებდი, რკინიგზაზე მუშაობის 25-წლიანი სტაჟი მაქვს და ისევ ჩემი პროფესიით ვიმუშავებდი. ჩვენ ვიბრძვით, რომ რაც გასაკეთებელია, გავაკეთოთ.

რა შედეგი მოჰყვა 14 ნოემბრის გაფიცვას?

ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით, „ვერსია“ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარეს, ირაკლი პეტრიაშვილს დაუკავშირდა:

— ბატონო ირაკლი, ჰამლეტ ლომიძე პროფკავშირების გაერთიანებიდან იმიტომ გარიცხეთ, რომ საწევროს ვეღარ იხდიდა?

— ეს ორგანიზაცია მძიმე მდგომარეობაში იყო და ისედაც არ ვართმევდით საწევროს. სასამართლოში აქვს სარჩელი შეტანილი, რომლითაც გაერთიანებულ პროფკავშირებში დაბრუნებას ითხოვს და თუ გარიცხვა არ აღელვებს, სარჩელი რატომ შეიტანა? მან ძალიან კარგად იცის, რატომ გავრიცხე და სამწუხაროა, რომ მთავარ მიზეზს არ გეუბნებათ. პროფკავშირები დასაქმებულთა უფლებების დამცველი ორგანიზაციაა, მაგრამ ორგანიზაცია, რომელსაც ჰამლეტ ლომიძე ხელმძღვანელობს, დამსაქმებლის ჯიბეში ზის და დასაქმებულების ინტერესებს არ იცავს. იგი მთლიანად ადმინისტრაციისგან კონტროლდება და არა მუშაკთა მიერ. ჰამლეტ ლომიძის ორგანიზაციის გამგეობის წევრების აბსოლუტური უმრავლესობა მემანქანეები ან რიგითი რკინიგზელები კი არა, ადმინისტრაციის წარმომადგენლები არიან და იგი მუშათა დამოუკიდებელი სტრუქტურა კი არა, რკინიგზის ადმინისტრაციის დანამატია. ესაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც გავრიცხეთ ჰამლეტ ლომიძე და მისი ორგანიზაცია გაერთიანებული პროფკავშირებიდან.

დასასრული მე-7 გვერდზე

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

ექსკლუზიური ინტერვიუ გია მაისაშვილთან

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

საქართველოს ახალ პრეზიდენტს, „წინა პრეზიდენტებთან შედარებით, მოკრძალებულ“ ადამიანს უწოდებს. ამბობს, მარგველაშვილი ურიგო კაცი არ ჩანს, მაგრამ რადგან მისი კანდიდატურა ხალხის წიაღიდან არ ამოვარდა, ერის სახეს არ წარმოადგენს და გული მწყდებაო. მთავრობის მიმართ კითხვის ნიშნები უჩნდება, მაგრამ იმედი აქვს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი სასარგებლო ნაბიჯების გადადგმას შეძლებს და კომპეტენტური ადამიანების გამოცდილებასა თუ განათლებას გაიზიარებს, მათ შორის, ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე, საკუთარ თავსაც მოიაზრებს. იმას კი, რატომ აქამდე არ გამოიყენა კოალიციამ მისი რესურსი, „ვერსიას“ ექსკლუზიურად უმხელს. რაზე ელაპარაკა ბიძინა ივანიშვილს, რატომ არ იყარა კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებზე პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა და როდის დაბრუნდება პოლიტიკაში? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემამდე, პოლიტიკური მოვლენებისგან დროებით განზემდგომი გია მაისაშვილი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებას აანალიზებს.

რატომ არ იბრძოლა პრეზიდენტობისთვის, რაზე ელაპარაკა ბიძინა ივანიშვილს და როდის დაბრუნდება პოლიტიკაში „მომავლის პარტიის“ ლიდერი

— მთავარია, წინა რეჟიმის არაეფექტური, უსამართლო მმართველობა დასრულდა. სააკაშვილის რეჟიმი იმდენად ავტორიტარული, საკუთარ „მე“-ზე ორიენტირებული იყო, რომ გააუკუღმართა პოლიტიკური პროცესი, მიიერთა ოპოზიცია და მისგან არაჯანსაღი ძალა შექმნა — ასე შეიყვანა ქვეყანა კრიზისში. მისმა უმეცარმა მმართველობამ შექმნა საზოგადოების პოლიტიკური ზრდისთვის მიუღებელი გარემო, შედეგად, საზოგადოების უმრავლესობა ზიზღით განიმსჭვალა არსებული რეჟიმისადმი. ამ ფონზე, დაანგრიე რეჟიმი და დაიჭირე მისი მმართველები — ამაზე მეტი მოთხოვნა საზოგადოებას არც დაუყენებია. ახალმა ძალამ მოთხოვნა შეასრულა.

— მოთხოვნის მეორე კომპონენტთან დაკავშირებით, ხალხს გარკვეული პრეტენზია აქვს. ბევრი ნაციონალისა და სააკაშვილის გასამართლებას ითხოვს. ასე რომ მოხდეს, ქვეყნის იმიჯი შეილახება?

— ქვეყნის იმიჯი შელახული კი არა, დანგრეულია აგვისტოს ომის შემდეგ. ყველამ დაინახა, რომ სააკაშვილმა ბუტაფორია, პოტიომკინის სახელმწიფო შექმნა. გამოჩნდა, რომ ერთ პიროვნებას, პირადი ხუშტურიდან გამომდინარე, ასეთი კატასტროფული ნაბიჯის გადადგმა შეუძლია. ქვეყნის სათავეში, როგორც წესი, მოდიან პირები, რომლებიც ყველაფრის განმსაზღვრელები ხდებიან. ამის მიზეზი ისიც არის, რომ საზოგადოება არ არის შემდგარი — იგი, ძირითადად, პატრონის მოლოდინშია და პოლიტიკურ ლიდერსაც ხალხი უყენებს მოთხოვნას, უპატრონოს მას. არადა, საქართველოს მხსნელი და გადამრჩენელი ერთი პიროვნება კი არა, თანამედროვე ქართული საზოგადოებაა. დღეს ახალი ტალღა მოვიდა ხელისუფლებაში. ძირითადად, სააკაშვილის ხელისუფლებიდან წვრილმანი არაკომპეტენტურობის გამო გაგდებული ადამიანები და ინტელიგენციის, „წითელი ბიუროკრატების“ ნაწილი, რომლებიც შევარდნაძის ხელისუფლებასთან იყვნენ ასოცირებულნი და სააკაშვილმა ჩამოაშორა მმართველობას. ეს ძალა მობრუნდა და მხოლოდ რამდენიმე ახალი სახე დაემატა, სახელმწიფო კი, კვლავ ერთი პიროვნების გარშემოა მოწყობილი.

— მიუხედავად იმისა, რომ ამ პიროვნებამ თქვა, მხსნელებისა და პატრონების დრო უნდა დასრულდესო და პოლიტიკიდან სამოქალაქო სექტორში წავიდა?

— კარგია, ამას რომ ამბობს. როცა ასეთი დომინანტი ფიგურა მიდის ხელისუფლებიდან, ჩნდება შანსი, სახელმწიფო ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბდეს და გაძლიერდეს, თუმცა რამდენად მოახერხებს ამას მისი გუნდი, ესაა მნიშვნელოვანი.

— ივანიშვილის გუნდში ბევრი ისეთი ადამიანია, ვისაც სააკაშვილის ოპოზიციაში ყოფნისას, „პოლიტიკური ონანისტები“ უწოდეთ. ფიქრობთ, მათი პოლიტიკური მოღვაწეობა ამჯერადაც არაეფექტური იქნება?

— პარლამენტს გადახედეთ. საკანონმდებლო ორგანოში ერთი ისეთი პატარა ჯგუფიც კი არ მეგულება, რომელსაც შეეძლება თანამედროვე სახელმწიფოს წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტა. ახალი პრემიერის იმედი მქონდა, მაგრამ გამიცრუვდა, როცა ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტი შეინარჩუნა. კარგი იქნებოდა, წარმოედგინა ახალი კურსი, ეთქვა, რომ მისი პრიორიტეტებია ეკონომიკა, საგარეო პოლიტიკა და განათლების სისტემა და ამის შესაბამისად შეეკრიბა შემადგენლობა. საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, რამდენიმე ახალი მინისტრი მაინც წარმოედგინა, განსაკუთრებით, ეკონომიკური და საგანმანათლებლო მიმართულებით. ეს სფეროები სასიცოცხლოა ქვეყნისთვის. ყოფილი პრემიერი კი ამბობდა, კარგი და უკეთესი მინისტრები გვყავსო, მაგრამ ჩემი აზრით, გვყავს ცუდი და ძალიან ცუდი მინისტრები. მაინც, უნარიანი მგონია პრემიერი. გამოცდილება ჯერ არა, მაგრამ გაუტეხავი კაცის მიზანდასახულობა აქვს და იქნებ შეძლოს მთავრობის ორგანიზება სასიცოცხლო პრიორიტეტების ირგვლივ, იმ ადამიანებთან ურთიერთობა, ვისაც ქვეყნის დახმარების პოტენცია გააჩნია.

— თქვენ ხომ გქონდათ ეკონომიკური განვითარების გეგმა. არ წარუდგინეთ ბიძინა ივანიშვილს?

— ბიძინა ივანიშვილს სულ ორჯერ შევხვდი, 1 ოქტომბრის არჩევნებამდე. პირველ შეხვედრაზე მივეცი ოპოზიციურ გარემოში ეფექტური ქმედების სქემა, რომელიც თავის დროზე, ვერ თუ არ გაითვალისწინა სააკაშვილის მიერ მოსყიდულმა ოპოზიციამ. მთხოვა, ეს საიდუმლოდ შეგვენახა, ამიტომ კონკრეტულად რას გულისხმობდა ეს სქემა, ვერ გაგიმხელთ — არაკორექტული იქნება. აპირებდა რეალიზებას, მაგრამ არ მოხერხდა; მეორე შეხვედრაზე იმაზე ვისაუბრეთ, რა უნდა მოგვემოქმედებინა, რომ გამარჯვების მეორე დღიდანვე დაწყებულიყო ქვეყნის მშენებლობა. ოპტიმალური მთავრობით უნდა წარმდგარიყო ივანიშვილი 1 ოქტომბერს და პარალელურად, მომავალი მთავრობის წევრები უნდა მოემზადებინათ. ივანიშვილს ვუთხარი, რომ ვამთავრებდი საქართველოს 15-წლიანი განვითარების გეგმის ჩამოყალიბებას, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი, რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას სამ პრიორიტეტში — საგარეო პოლიტიკაში, განათლებასა და ეკონომიკაში. მითხრა, განვახორციელოთ ეგ გეგმაო, მაგრამ ამასაც არ მოჰყოლია გაგრძელება. გვქონდა ელექტრონული მიწერ-მოწერის მთელი სერია. სამოქმედო გეგმის ანალიზს ვწერდი, ონლაინრეჟიმში სახელმწიფო მშენებლობის კურსები იყო, მაგრამ მასწავლებლის როლში ყოფნას არ ვაპირებდი. მინდოდა, რეალური შედეგები მიმეღო, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

— არც თქვენი „ონლაინმესიჯები“ გააჟღერა ივანიშვილმა, ანუ რაიმე თუ გაითვალისწინა თქვენი გეგმიდან?

— დიახ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ სააკაშვილიც ასე იქცეოდა — ხშირად იდეებს, კონტექსტიდან ამოგლეჯილად ახსენებდა და მის დისკრედიტაციასაც ახდენდა. ახლაც ასე მოხდა. მაგალითად, საზოგადოებრივი საინვესტიციო ფონდი, თანადაფინანსების ფონდი...

— საინვესტიციო და თანადაფინანსების ფონდების შექმნის იდეა თქვენი იყო?

— დიახ, მაგრამ ეს გაკეთდა ბუტაფორიულად. საბჭოთა, კომკავშირული წარსულის მქონე ტიპაჟი ამის ხელმძღვანელად ვერ ივარგებს. საბჭოთა პერიოდში მოქმედ ადამიანს არ აქვს თანამედროვე დემოკრატიული კაპიტალიზმის გარემოში მუშაობის გამოცდილება. საბჭოთა ეკონომისტებსა და ექსპერტებთან ერთად, თანამედროვე ექსპერტებთანაც უნდა გაიარონ კონსულტაცია. ხელისუფლებაში მყოფი პირის ამოცანა და პასუხისმგებლობაა, მოძებნოს ამა თუ იმ სფეროში ყველა შესაძლო ალტერნატივა, მით უმეტეს, საქართველოში კადრების დეფიციტია. ასეთ გარემოში, ერთი ადამიანის რესურსის გამოუყენებლობაც კი დანაშაულია.

— გია მაისაშვილის გამოუყენებლობაც დანაშაულია?

— დიახ... ყალბი თავმდაბლობა რა საჭიროა — მე დავამთავრე სკოლა, რომელსაც ამერიკის უზარმაზარი კომპანიების მომავალი პრეზიდენტები ამთავრებენ, ვფლობ საქმეს, რასაც სახელმწიფო მშენებლობა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება ჰქვია, უზომოდ მიყვარს ჩემი ქვეყანა და ამ დროს, ეს რესურსი გამოუყენებელია.

— რა შემთხვევაში იქნებოდა თქვენი რესურსი გამოყენებული, თანამდებობა რომ შემოეთავაზებინათ? ამბობენ, მაისაშვილს ეკონომიკის მინისტრობა უნდოდაო.

— თანამდებობა ჩემთვის მნიშვნელოვანი არასოდეს ყოფილა. მინდა, იმ ადამიანების სწავლება შემეძლოს, ვინც ამ საქმეშია. მაისაშვილს თანამდებობა არ უნდა. მაისაშვილს რაც უნდოდა, იმისთვის კენჭს იყრიდა თავის დროზე. ეკონომისტის მინისტრის კი არა, პირველი პირის თანამდებობიდან ხდება დანგრეული ქვეყნის მშენებლობა.

— მაშინ, ამჯერად რატომ არ იბრძოლეთ პრეზიდენტობისთვის, თუ პირველი პირისთვის უფლებების შეკვეცის ფონზე, სხვა ამბიცია გაგიჩნდათ?

— ღრმად მწამს, დადგება დრო, როცა გამარჯვების დიდი შანსი იქნება. ჩემი კიდევ ერთხელ დამარცხება არ შეიძლებოდა. ერთხელ დავმარცხდი სააკაშვილთან, როცა 1% დამიწერა და მაშინ მქონდა გამართლება. ახლა დამარცხება ყველაფრის დამთავრების ტოლფასი იქნებოდა. ამის უფლება არ მაქვს. რაც შეეხება ამბიციას, ჩემი ამბიციაა, საქართველო პატარა სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული იყოს რეგიონში. მთავარია, მომავალში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარგი — ეკოლოგიაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე აგებული ეკონომიკა შევქმნათ და ქვეყანა ჯანსაღი ეკონომიკის განათლების ცენტრად ვაქციოთ. ამაში უკვე შემაქვს წვლილი — ახალ თაობას ვამზადებთ ლიდერთა სკოლაში. აქ ვასწავლით მეთოდოლოგიით, რითაც ასწავლიან ყველაზე ეფექტურ ორგანიზატორებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ კერძო სექტორში. სექტემბრიდან საშუალო სკოლა „ქამელოტსაც“ გავხსნით, უმაღლესი სასწავლებლის გახსნასაც ვგეგმავთ. შეხება არ გვაქვს სახელმწიფო რესურსთან და მაინც ვქმნით ისეთ თანამედროვე ორგანიზმს, რომლის მსგავსიც თითზე ჩამოსათვლელია მსოფლიოში. ამიტომ ვამბობ, თუ გინდა, შენი გუნდი გყავდეს, ღმერთმა მოგახმაროს, მაგრამ რა უფლება გაქვს, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეში დაგვბლოკო და ხელი შეგვიშალო?

— ივანიშვილის გუნდიდან კონკრეტულად ვინ გბლოკავთ?

— არ ვიცი, ამაზე არც მიფიქრია... მგონი, ჩვენი ტიპაჟებია ძალიან განსხვავებული და ესაა მიზეზი. თან, ივანიშვილის გუნდში არიან სრულიად არაპროფესიონალი ადამიანებიც და ჩემი მისვლა მათთვის საშიშროებას წარმოადგენდა.

— დღეს ასეთ ვითარებაში იქნებოდით, თავის დროზე, პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება რომ არ მიგეღოთ? ამ გადასახედიდან, სწორი ნაბიჯი გადადგით თუ არა მაშინ და მორალურად თუ გქონდათ უფლება, ბრძოლა მაშინ შეგეწყვიტათ, როცა, როგორც თავად თქვით, უმნიშვნელოვანესი იყო ნაციონალური მმართველობის დასრულება?

— წლების განმავლობაში თუ ვინმეს უბრძოლია ნაციონალების წინააღმდეგ, მოურიდებლად, ალალად, პირდაპირ, მათ შორის ბოლო არ ვარ. მინდოდა, ქვეყნის მშენებლობისთვის სწორი მიმართულება გვქონოდა, რასაც ხელს ნაციონალები უშლიდნენ და ამიტომ მოხდა თავის დროზე ჩვენ შორის დაპირისპირება. არც სისხლისღვრა დამკლებია და არც ერთ დიდ ბრძოლაში ზურგი არ მიჩვენებია. უბრალოდ, რაღაც ეტაპზე დავრწმუნდი, რომ ეს ძალა სრულად აკონტროლებდა ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. ჩვენი „მოკავშირეებიც“ კი, მოსყიდულები აღმოჩნდნენ. უაზრო იყო ამ რეჟიმთან, ასეთ გარემოში ბრძოლა — ქარის წისქვილებთან მებრძოლ დონ კიხოტს არ მინდოდა დავმსგავსებოდი და გადავწყვიტე, დროებით გავცლოდი ვითარებას. სხვა მიმართულებით შემეწყო ხელი თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის.

— ეს „დროებით“ როდის დასრულდება, გამარჯვების შანსი როდის გექნებათ და პოლიტიკაში როდის დაბრუნდებით?

— იმედი მქონდა, საპრეზიდენტო არჩევნებში კონკურენტული გარემო იქნებოდა და ოპოზიცია შეძლებდა, მიეღწია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისთვის. ბურჯანაძის 10%-იც კი არაა საკმარისი ამისთვის. მით უმეტეს, ხელისუფლებასაც აწყობს ნაციონალური მოძრაობის მსგავსი ოპოზიცია, რომელსაც ყოველთვის წამოაძახებს, ხმა არ ამოგეღება, შენ დაანგრიე ქვეყანაო და ნაციონალებსაც აწყობთ ასეთი უსუსური ხელისუფლება — მხოლოდ ასე ტივტივებენ პოლიტიკურ ზედაპირზე. რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში კი, პარლამენტში ადგილებს დაკარგავენ. ამ ფონზე, ვადამდელი არჩევნები არ იქნება. მე კი ვიფიქრე, თუ დაინიშნება, წარმოგვეჩინა თავი და აქცენტი გაგვეკეთებინა 8-10%-იან ამომრჩეველზე. ამ რაოდენობის ამომრჩევლის დამსახურებით, პარლამენტში შესვლა მოგვცემდა საშუალებას, იქ გამოგვევლინა შესაძლებლობები. ყველას დავანახებდით, როგორ უნდა თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობა. მომავალ არჩევნებზე კი, ვნახოთ, რა ვითარება იქნება. ჩვენი ამოცანაა, პირველ რიგში, 10 წლის განმავლობაში საქართველო იქცეს 10 ყველაზე განათლებულ ერთა შორის და 15 წელში, 1 სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი ისე გაიზარდოს, დავეწიოთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. ვიცით, როგორ გაკეთდეს ეს — ჩვენ ვართ ძალა, რომელიც კომპრომისზე არავისთან წასულა, არავის მოუსყიდია და რომელსაც წინა და ახალი ხელისუფლების მსგავსად, ამერიკა ან რუსეთი და საერთოდ, არავინ აკონტროლებს.

— რის საფუძველზე ამბობთ, რომ ქვეყანამ მიმართულება შეიცვალა და ახალი ხელისუფლება რუსული ორიენტაციისაა?

— მისი გუნდის ბევრი მოქმედი პირის წარმომავლობა, მენტალობა, აზროვნება, ნაბიჯებია... საფუძველი. ასეთი უუნარობაც, არაფერი რომ არ კეთდება, რუსეთის ინტერესშია, რათა საქართველო იქცეს დიდ ტვირთად დასავლეთისთვის. ჩვენი ყველაზე დიდი საშიშროებაა კოჭლ ფარად არ ვიქცეთ და მგელმა არ გამოგვხშიროს. ხსნა ჩვენი საზოგადოების ორგანიზებაშია. ჩვენ გვქონდა 10-წლიანი შესაძლებლობების ფანჯარა, რომელიც სააკაშვილმა ვერ გამოიყენა — ეს ისტორიული დანაშაულია ქვეყნის წინაშე... მაგრამ ახლა პატარა ერების დროა. დინამიური და სწრაფად ცვალებადი გეოპოლიტიკური გარემოა და შესაძლებლობები ყოველთვის იქნება. მთავარია, მათი გამოყენება მოვახერხოთ. მთავარია, პოლიტიკური პროცესი ასე ჩაკეტილი აღარ იყოს და ასპარეზზე დამოუკიდებელი მოთამაშეებიც გამოჩნდნენ.

„ფონდი ნატახტარი“ მზრუნველობამოკლებულ მოზარდებზე ისევ ზრუნავს

ფონდი „ნატახტარი“ თანხის შეგროვების მესამე ტალღას იწყებს

„იზრუნე მომავალზე!“ — შეიძინეთ „ნატახტარის დიმონათი“ და დაეხმარეთ მოზარდებს ოცნებების ასრულებაში!

თორნიკე ნიკოლაიშვილი, „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი

„დიდი რომ გავიზრდები, მინდა, არქიტექტორი გავხდე, მე მხატვარი გავხდები, მე ფეხბურთელი, მეცნიერი, ბავშვების ექიმი... მომავალში ლამაზ სახლებს ავაშენებ, ახალ ფერებს გამოვიგონებ და რაც უფერულია, ყველაფერს გავაფერადებ“, — ეს მოკლე წინადადებები სხვადასხვა ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს ეკუთვნით. უკვე მეორე წელია, საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით შექმნილი „ფონდი ნატახტარი“, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ეხმარება, რათა საკუთარი ოცნებები აიხდინონ. „იზრუნე მომავალზე“ და შეიძინე „ნატახტარის“ ლიმონათი. ყოველი ბოთლის ყიდვისას კი 1, 3 და 5 თეთრი „ფონდი ნატახტარში“ გადაირიცხება.

25 ნოემბერს, პროექტის — „იზრუნე მომავალზე“ მესამე ტალღა დაიწყო, რომელიც 2014 წლის 25 თებერვლამდე გასტანს. იმავე დღეს, სასტუმრო „რედისონში“ გამართულ პრესკონფერენციაზე, კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა თორნიკე ნიკოლაიშვილმა, პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში წარადგინა. მისი თქმით, 2011 წლის ნოემბერში, კომპანია „ნატახტარმა“ დაარსა „ფონდი ნატახტარი“. ასე დაიწყო საქველმოქმედო პროექტის — „იზრუნე მომავალზე“ განხორციელება. სამი თვის განმავლობაში, თუ თქვენ „ნატახტარის“ ლიმონათს შეიძენთ, ფონდში 1, 3 და 5 თეთრი გადაირიცხება.

თორნიკე ნიკოლაიშვილის განმარტებით, პროექტის — „იზრუნე მომავალზე“ ძირითადი მიმართულებაა პროფორიენტაცია, პროფკონსულტირება, პრევენცია, ინტერვენცია, საზოგადოებასთან ინტეგრაციის ხელშეწყობა, დროისა და ფინანსების განაწილების სწავლება. მისი თქმით, პროექტის მიზანია ობოლ და მზრუნველობამოკლებულ აღსაზრდელებზე ზრუნვა, რათა მათ დამოუკიდებლად ცხოვრება შეძლონ. პროექტს — „იზრუნე მომავალზე“, „ფონდი ნატახტარის“ პარტნიორი ორგანიზაცია, ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველო“ ახორციელებს:

„წინა წლებისგან განსხვავებით, 2013 წლის აპრილიდან, პროექტში 15 წლის მოზარდებიც ჩაერთნენ. მანამდე, პროექტის სამიზნე ჯგუფი იყო სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი 16-18 წლის და 18 წლის ზევით მოზარდები. ბავშვების რაოდენობასთან ერთად, წელს ფსიქოლოგების გუნდის შემადგენლობაც გაფართოვდა, რათა ბენეფიციარებმა ხარისხიანი მომსახურება მიიღონ. ამჟამად, 226 მოზარდს საქართველოს მასშტაბით, 10 ფსიქოლოგი ემსახურება. წლევანდელი წელი რომ შევაფასოთ, უკანასკნელ 6 თვეში, მართლაც მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ. სხვადასხვა სასკოლო საგნებში მომზადება 34-მა აღსაზრდელმა გაიარა, კოლეჯებში კი პროფესიულ უნარებს 52 მოზარდი დაეუფლა, დასაქმების პერსპექტივით, სტაჟირება 6-მა მოზარდმა გაიარა“, — განაცხადა **თორნიკე ნიკოლაიშვილმა**.

მისი თქმით, 2013 წელს, განვლილ 6 თვეში უკვე 26 ქეისი დაიხურა. აქედან 15 მოზარდი დასაქმდა, 2 გათხოვდა, 3 მიმღებ ოჯახში გავიდა, 3 ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა. თორნიკე ნიკოლაიშვილმა განმარტა, რომ 226 მიმდინარე ქეისიდან, 13 მოზარდი მუშაობს, 5 სტუდენტია, ხოლო 8 — აბიტურიენტი, რომლებიც ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებიან. იმ მოზარდებს, რომლებმაც უკვე დატოვეს მცირე საოჯახო სახლები, მაგრამ არავინ ჰყავთ, პროექტის ფარგლებში, ფონდი „ნატახტარი“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველო“ ბინის ქირის გადახდაში ეხმარება, კვებითა და გზის ხარჯით უზრუნველყოფს და რაც მთავარია, ხელობას ასწავლიან.

მაია მიშელაძე

„საქართველოს ბანკის“ სრულიად ახალი ინტერნეტბანკი Business Online ბიზნესისთვის

მარტივი, სწრაფი, უსაფრთხო და კომფორტული სერვისი იურიდიული პირებისთვის

„ეს ის არის, რასაც ელოდით“ — „საქართველოს ბანკი“ იურიდიულ პირებს სრულიად ახალ მომსახურებას, ინტერნეტბანკს Business Online-ს სთავაზობს. ამ სასიამოვნო სიახლის შესახებ, ბანკის სათავო ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე, კორპორატიული საბანკო საქმიანობის დარგში ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, სულხან გვალიამ ისაუბრა. გვალიას თქმით, Business Online იმით გამოირჩევა, რომ მორგებულია უშუალოდ მომხმარებლის მოთხოვნებზე, საერთაშორისო დაცვის სტანდარტებით უსაფრთხოება საუკეთესოდაა დაცული, ძალიან სწრაფი და ამავდროულად, ძალიან მარტივია. ყველა ეს კომპონენტი, მომხმარებელს საშუალებას მისცემს სწრაფად, მარტივად შეასრულოს ყველა ის ოპერაცია, რასაც აქამდე ონლაინრეჟიმში ახორციელებდა.

ამ ყველა სიკეთესთან ერთად, Business Online გამორჩეულია მოსახერხებელი, მარტივი და ბიზნესსაჭიროებებზე მორგებული დიზაინით.

„საქართველოს ბანკის“ ახალ ინტერნეტბანკს იურიდიული პირებისთვის აქვს სრულიად ახალი, უნიკალური ფუნქციები. Business online-ით სარგებლობა შეგიძლიათ ნებისმიერი ინტერნეტბრაუზერით. სრულიად ახალი მიდგომის შედეგად, ახალ ინტერნეტბანკში ავტორიზაციის გავლასა და ხელმოწერას კი, არა მხოლოდ გასაღებით, არამედ დიჯიპასითა და ID ბარათითაც შეძლებთ. მუდმივად მომხმარებლის ინტერესზე ორიენტირებული ბანკის ხელმძღვანელებმა იმაზეც იზრუნეს, რომ სერვისით სარგებლობისას მაქსიმალური კომფორტი შეგვიქმნან. შესაბამისად, მეტი სიმარტივისა და მოხერხებულობისთვის, შეგიძლიათ დოკუმენტების, ანგარიშების, დეპოზიტების, სესხების ჩამონათვალის, კრედიტის გადახდისა და დაფარვის გრაფიკების ექსპორტირება Excel-ის ან PDF-ის ფორმატში. პაკეტური გადარიცხვების შემთხვევაში კი, გეძლევათ შესაძლებლობა, ერთდროულად განახორციელოთ რამდენიმე ტიპის ოპერაცია: ხელფასის გადარიცხვა, ეროვნული ან უცხოური ვალუტის გადარიცხვა. გამარტივებულია სახაზინო კოდების ავტომატიზაციაც – სახაზინო კოდები და მათი აღწერა ცნობარშია განთავსებული, გადარიცხვის დროს კი მათი ავტომატურად გამოყენებაა შესაძლებელი.

სრულიად ახალი ინტერნეტბანკი Business Online შესაძლებლობას იძლევა, ნებისმიერი დოკუმენტის შექმნის ან პაკეტური გადარიცხვის დროს, დუბლირების დასადგენად შემოწმდეს, ემთხვევა თუ არა ახალი დოკუმენტი უკვე შექმნილ რომელიმე დოკუმენტს. დოკუმენტების შედარებას კი, თქვენს მიერ წინასწარ არჩეული ველების მიხედვით შეძლებთ.

კორპორატიული საბანკო საქმიანობის დარგში ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის, **სულხან გვალიას** განმარტებით, ამ სერვისის დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანია: **„ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მსგავს მომსახურებაზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. სრულიად ახალი მიდგომის შედეგად, ახალ ინტერნეტბანკში ავტორიზაციის გავლა და ხელმოწერა შესაძლებელია გასაღებით, დიჯიპასითა და ID ბარათით. მეტი სიმარტივისა და მოხერხებულობისთვის, მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის ექსპორტირება Excel-ის ან PDF-ის ფორმატში. ასევე, პაკეტური გადარიცხვების შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია ხელფასის, ეროვნული ან უცხოური ვალუტის გადარიცხვა. გამარტივებულია სახაზინო კოდების ავტომატიზაციაც. „საქართველოს ბანკის“ ახალი სერვისი, იურიდიულ პირებს საქმეს ნამდვილად გაუადვილებს და სხვადასხვა ოპერაციის მარტივად და სწრაფად შესრულების საშუალებასაც მისცემს“.**

სულხან გვალიას განმარტებით, მომხმარებლებს, იურიდიულ პირებს ახალი შეთავაზება Business online ძალიან მოეწონებათ — ეს სერვისი ხომ საშუალებას გაძლევთ, მოირგოთ ინტერნეტბანკი ისე, როგორც საქმე მოითხოვს.

„ცე“ ჰეპატიტზე გამოკვლევა მთელ მოსახლეობას უნდა ჩაუტარდეს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ციხეებში „ცე“ ჰეპატიტის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. როგორც სასჯელაღსრულების მინისტრმა განაცხადა, ქალთა დაწესებულებაში დაავადების მატარებელი 17% აღმოჩნდა, ხოლო პატიმართა კიდევ ერთ ჯგუფში, რომელსაც სოზარ სუბარი არ ასახელებს, ვირუსის მატარებელი 50%-ზე მეტია დაფიქსირებული, ამიტომაც ციხეებში „ცე“ ჰეპატიტის უფასო მკურნალობა იწყება — პროგრამა შემუშავებულია, სკრინინგი დაწყებულია. მინისტრის თქმით, ტენდერის ტექნიკური დეტალები მალე დაზუსტდება, თვის ბოლომდე ტენდერი დასრულდება და „ცე“ ჰეპატიტის სამკურნალო წამლის ფასი იქნება არსებულზე მინიმუმ სამჯერ ნაკლები. ტენდერში მიბმულია ვალდებულება და გარდა იმისა, რომ ათასი პატიმარი პაციენტისთვის ვყიდულობთ შედარებით დაბალ ფასად წამალს, კომპანიამ ეს წამალი სამოქალაქო სექტორისთვისაც იმავე ფასად უნდა გაყიდოს. ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო სექტორშიც, დაახლოებით, 70%-ით გაიაფდება „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობა. სუბარის თქმით, საქართველო შედის იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც აღნიშნული წამალი ყველაზე ძვირია და შეადგენს 235-260 დოლარს. ამ სფეროში არსებულ რეალობასა და მოსალოდნელ შედეგებზე, „ვერსია“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრს, მარინა ბერაძეს ესაუბრება.

— ქალბატონო მარინა, რამ მიგვიყვანა კატასტროფულ მდგომარეობამდე, როცა პატიმართა ერთ კატეგორიაში „ცე“ ჰეპატიტით დაავადებულთა მაჩვენებელი 50%-ს აღემატება?

— სასჯელაღსრულების სისტემაში „ცე“ ჰეპატიტით ავადობის ძალიან მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ არ ვიცით, ზოგადად, მოსახლეობაში როგორი სურათი გვაქვს. ეს ინფორმაცია ჩვენთვის ცნობილი იმის გამო გახდა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში სწორი რეფორმები დაიწყო და ისინი პრობლემების გადაჭრაზე ანუ პაციენტების მკურნალობაზე გადავიდნენ. ბოლო წლებში, ქვეყანა ჯანდაცვის კუთხით იმდენად არასწორ ნაბიჯებს დგამდა, რომ ეს, რასაკვირველია, მოსახლეობასა და ნებისმიერი ადამიანის ჯანმრთელობაზე აისახებოდა. არ არსებობს ორგანო, რომელიც მოსახლეობის გამოკვლევით, დაავადებების შესწავლით იქნება დაკავებული, მაგალითად, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური, რომელიც არა მხოლოდ „ცე“ ჰეპატიტს, ტუბერკულოზსა და კიდევ სხვა დაავადებებს საწყის ეტაპზე უნდა იკვლევდეს. ასეთი მაჩვენებელი სწორედ იმიტომ გვაქვს, რომ არასოდეს ხდებოდა პროფილაქტიკური გასინჯვა. ეს არამარტო პენიტენციალურ სისტემაში მყოფებს, მთელ მოსახლეობას უნდა უტარდებოდეს, მაგრამ მათ ამ გზით მუშაობა დაიწყეს და ვიცით, რომ პროგრამა უნდა ამოქმედდეს. ამიტომაც სჭირდებოდათ ცოდნა, ზუსტად რამდენი ადამიანი ჩაერთვება ამ პროგრამაში.



პენიტენციალურ სისტემაში უფასო მკურნალობა, „ცე“ ჰეპატიტის მკურნალობას სამოქალაქო სექტორშიც გააიაფებს!

— მეტი ინფორმირებისთვის, რა იწვევს „ცე“ ჰეპატიტს?

— ინფექციის გავრცელების უამრავი მიზეზი არსებობს. ხელისუფლება იმიტომ შეიცვალა, რომ ერთ-ერთი მძიმე მდგომარეობა პენიტენციალურ სისტემაში იყო არა მხოლოდ სამართალდარღვევების, წამების, არამედ ჯანმრთელობის სამსახურების ცუდი მუშაობის თვალსაზრისით. ექიმები პაციენტს არ ეხმარებოდნენ, ჯანდაცვის სამსახური კიდევ ერთი, დამატებითი დამსჯელი რგოლის ფუნქციას ასრულებდა. ჩვენ ორი, ყველაზე მძლავრი მკვლელის არსებობის შესახებ გვქონდა ინფორმაცია, ეს იყო „ცე“ ჰეპატიტი და ტუბერკულოზი. ამ უკანასკნელის გავრცელების მასშტაბის ზუსტი სტატისტიკა არ გვქონდა, რადგან ასეთი ტიპის გამოკვლევებიც შეზღუდული იყო, მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დადო დასკვნა, რომ საქართველოში ტუბერკულოზის გავრცელების საგანგაშო მაჩვენებელია, რომელმაც უკვე ზღვარს მიაღწია. რატომ ვახსენებთ ტუბერკულოზს? ხშირად მისით დაავადებულ ადამიანებს, პარალელურად „ცე“ ჰეპატიტიც აქვთ — ესაა რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ და შედეგიანი ნაბიჯები გადავდგათ.

— რაც შეეხება ამ სფეროში განხორციელებული კვლევების არსს?

— რასაკვირველია, კვლევა იაფი არ არის. ჩემი ინფორმაციით, უცხოური დონორი ორგანიზაციები სურვილს გამოთქვამდნენ, შემოსულიყვნენ საქართველოში და მოსახლეობა „ცე“ ჰეპატიტზე გამოეკვლიათ. იცით, რატომ გაუჩნდათ ეს სურვილი? აქედან ჩასულ ემიგრანტებში დაავადებულთა დიდი რაოდენობა დაფიქსირდა, ეს პროცესი კი მიმღებ ქვეყნებშიც გარკვეულ ტვირთად დააწვათ, ამიტომ უცხოელებს აქვე, ადგილზე დახმარების სურვილი გაუჩნდათ და ისინი ამ ყველაფერს უფასოდ, თავისი ხარჯებით აკეთებდნენ, მაგრამ ხელისუფლებამ ფართომასშტაბიან გამოკვლევაზე უარი უთხრა — ახლა რომ უფასოდ ჩატარდეს გამოკვლევა, დაავადებული ადამიანების ძალიან დიდი რაოდენობა გამოვლინდება და მერე მკურნალობა მოგვიწევს, შეიქმნება დისკომფორტი, რადგან ძვირადღირებული პროცესიაო. ეს რა პასუხია, თავად განსაჯეთ. ეს იყო 2010-11 წლებში, წინა ხელისუფლების პირობებში და ისეთი მძიმე მემკვიდრეობაა, ამის გამოსწორება ქვეყანას ძვირი დაუჯდება, რადგან ძალიან შრომატევადი პროცესია. პენიტენციალური სისტემიდან ამის აღრიცხვა დაიწყო, მაგრამ ასეთივე გამოკვლევა მთელ მოსახლეობას უნდა ჩაუტარდეს, რომ ვიცოდეთ, რა მდგომარეობაა.

— რეგულაციების გამკაცრებაზე ვისაუბრეთ სტომატოლოგიურ დაწესებულებებში, რატომ გახდა ეს საჭირო?

— „ბე“ და „ცე“ ჰეპატიტის რიცხვმა ძალიან მოიმატა სწორედ ისეთი სამედიცინო დაწესებულებებიდან, როგორიცაა სტომატოლოგიური და სხვა ობიექტები, სადაც ინფექცია სანიტარული ნორმების დაუცველობის გამო ვრცელდება. ახლა ამ კუთხით მუშაობა მიდის და ყველაფერი პარალელურ რეჟიმში უნდა განხორციელდეს. როდესაც ამდენი დაავადებულია სასჯელაღსრულების სისტემაში, რით არიან დაზღვეულები ის გარეთმყოფები, რომლებსაც მათთან კონტაქტი აქვთ? ეს ყველაფერი სერიოზულ შრომას მოითხოვს და სათანადო დანახარჯიც იქნება...

— მკურნალობის ფასზე რას გვეტყვით?

— აქ ვაწყდებით პრობლემას, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო — რატომ არის ეს წამლები ჩვენთან ასე ძვირი? წლების განმავლობაში, ფარმაცევტულ ბაზარზე ქაოსი სუფევდა. არასწორი საკანონმდებლო ბაზის პირობებში, პროდუქციის ფასთწარმოქმნაზე რეგულაცია არ არსებობდა, სამკურნალო საშუალებების საბაზრო ღირებულებაში სახელმწიფო არ მონაწილეობდა. საკანონმდებლო ბაზის დიდი ხარვეზი ასევე შესაცვლელია. მკურნალობის ფასების დაწევის შესაძლებლობა არსებობს, უბრალოდ, ამისთვის სწორი რეგულაციებია მოსაძებნი. პენიტენციალურ სისტემაში ამას თვალი გაუსწორეს, აღიარეს რეალური ფაქტები და უფასო მკურნალობის დაწყება ძალიან დიდი საქმეა. სხვათა შორის, დიდი პროცენტით დაიწია ტუბერკულოზის ახალმა შემთხვევებმა, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში ასევე დიდი პროცენტით გვხვდებოდა. ესეც იმას ნიშნავს, რომ სწორი მიდგომები ამუშავდა და ასევე იქნება „ცე“ ჰეპატიტის პროგრამასთან დაკავშირებით. დაველოდოთ შედეგებს. სტატისტიკა აქვთ და ექვს თვეში, წელიწადში ერთხელ შედეგები დაფიქსირებული იქნება, ამავე დროს კი უნდა გამოვიკვლიოთ მთელი მოსახლეობა. ამასთან დაკავშირებით ერთ საგულისხმო ფაქტს გიამბობთ: წინა ხელისუფლებისას, გერმანიაში სასწავლებლად დროებით მყოფ სტუდენტს, რომელსაც დონორობა უნდოდა, სრულიად შემთხვევით „ცე“ ჰეპატიტი აღმოუჩინეს. წარმოიდგინეთ, როგორი შოკი იყო, არავითარი სიმპტომი არ ჰქონდა, არანაირი ეჭვი... მთელი მისი ოჯახი, ბაბუიდან დაწყებული ჯანდაცვას ემსახურებოდა და შვილს საკუთარ ქვეყანაში ვერ უმკურნალეს. ბევრი იწვალეს, რომ საზღვარგარეთ, როგორმე პროგრამაში მოხვედრილიყო. გერმანიაში, სადაც აბსოლუტურად არ იცნობდნენ, ჩათვალეს, რომ იგი ღირსია, მკურნალობა დაენიშნოს და რამდენიმე ათას ევროდ იმკურნალა. თუკი ჩვენს მოქალაქეებს ასეთი შესაძლებლობა გაუჩნდებათ, პენიტენციალურ სისტემაში მყოფებს უფასოდ უმკურნალებენ, დანარჩენ მოსახლეობას ხელმისაწვდომობა გაეზრდება, ამ ეტაპზე ამაზე უკეთესი რა შეიძლება გაკეთდეს? საქმე გვაქვს სოციალურ დაავადებასთან, რომელიც ინდივიდუალურ პრობლემათა რიგს დიდი ხანია გასცდა.

ექსკლუზიური ვერსია

„ორხელისუფლებიანობა“ რკინიგზაზე

მე-4 გვერდიდან

— რატომ აცვიათ მემანქანეებს ლილოს ბაზრობაზე ნაყიდი სპორტული ტანსაცმელი და ბოტასები?

— იცით, რატომაა რკინიგზაზე ასეთი პრობლემები? იმიტომ, რომ იქ რეალური პროფკავშირი არ ყოფილა და, შესაბამისად, დასაქმებულების პრობლემებზე ყურადღებას არ ამახვილებენ. მუშათა ორგანიზაცია ანექსირებული აქვს რკინიგზის ადმინისტრაციას, რომელიც მუშების გაფიცვამდე რეალურ სარკეში ვერ იხედება. არადა, რკინიგზის ადმინისტრაცია ამ ორგანიზაციის ტვირთბრუნვის გაზრდაზე, განვითარებაზე, თანამშრომელთა შრომის დაფასებაზე უნდა ფიქრობდეს და არა იმაზე, როგორ მოპაროს მუშებს საკუთარი კონსტიტუციური უფლება. ამიტომ დაგვჭირდა რკინიგზაზე ახალი პროფკავშირული ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომლის წევრები მუშები და მემანქანეები არიან, ამიტომ გაკეთდა ის, რაც გაკეთდა და საბოლოოდ, 14 ნოემბრის გაფიცვამ შედეგი მოიტანა, რადგან რკინიგზელთა მდგომარეობა გაუმჯობესდა. ჰამლეტ ლომიძეს თითოეულ მუშასთან რომ მიესვლებოდეს და მუშების პრობლემები იცოდეს, იმის ვაჟკაცობა რომ ჰქონდეს, ადმინისტრაციას პრობლემების გადაჭრა მოსთხოვოს, მეორე ორგანიზაციას არ დავაფუძნებდით. ეზუგბაიას დროს პროფკავშირები საერთოდ დაშლილი იყო, საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებობს სარჩელები ამასთან დაკავშირებით. ახლა კი ადმინისტრაციამ თვითონ შექმნა პროფკავშირი, რათა მუშას ორგანიზებულად არ ამოეღო ხმა საკუთარ პრობლემებზე.

— ჰამლეტ ლომიძე აცხადებს, გაფიცვის გარეშეც მოგვარდებოდა რკინიგზელების პრობლემებიო, მაგრამ 14 ნოემბრის შემდეგ, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობას შეხვდით?

— ქართული ენა ტოლერანტულია და იძულებული ვარ, ჰამლეტ ლომიძეს ბატონი ვუწოდო, რომელსაც იმის ნამუსიც არ აქვს, სხვის გაშლილ სუფრას არ მიჯდომოდა. 14 ნოემბრის გაფიცვის შედეგად, ახალმა პროფკავშირმა რკინიგზის ადმინისტრაციასთან გარკვეულ შედეგს მიაღწია, მაგრამ ჰამლეტ ლომიძეს არაფერი გაუკეთებია. პირიქით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად გამოდიოდა და ამ გაფიცვის დისკრედიტაციას ცდილობდა, ახლა კი ურცხვად გეუბნებათ, რომ ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. მოლაპარაკება ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, რადგან ჰამლეტ ლომიძის ორგანიზაცია ადმინისტრაციის ქვესტრუქტურაა და რასაც რკინიგზის ხელმძღვანელობა უკარნახებს, იმას აკეთებს. რაც შეეხება ჩვენს წევრ ახალ პროფკავშირს, ისინი მართლაც, ამ საქმით არიან დაკავებულები. გაფიცვის შედეგად, რკინიგზელებმა ბევრი რამ მიიღეს. ახალ, კოლექტიურ ხელშეკრულებაში ასახულია ყველა ის პუნქტი, რომლებზეც 14 ნოემბრის გაფიცვაზე შეთანხმდნენ და როდესაც ამ ხელშეკრულებას ხელი მოეწერება, რკინიგზელები შეღავათს იგრძნობენ.

— ვილნიუსის სამიტზე თქვენც მიწვეული ხართ, კონკრეტულად, რა საკითხებზე გაამახვილებთ ყურადღებას სამიტის ფარგლებში?

— უამრავი ორგანიზაცია ელოდება ინფორმაციას საქართველოს პროფკავშირებისგან, რადგან ევროპამ და ზოგადად, ევროპარლამენტმა, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება ფიზიკური განადგურებისგან იხსნა. ბუნებრივია, ამ ადამიანებს აინტერესებთ, რა ხდება, როგორ ვითარდება მოვლენები ჩვენს ქვეყანაში. 2008-2009-2010 წლების მოხსენებები რომ ნახოთ, პროფკავშირების წევრების ზეწოლაზე, პროფორგანიზაციების განადგურებაზეა საუბარი, ბოლო ერთი წლის მანძილზე, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, უამრავი ახალი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, ამდენად, ბუნებრივია, საქართველო უფრო მეტ ნდობას იმსახურებს ევროპული სტრუქტურებისგან. ნეგატიურ კონტექსტში კი იმაზე ვისაუბრებთ, რომ სამმხრივი დიალოგი, სადაც დამსაქმებლები, მთავრობა და პროფკავშირი ერთობლივად იხილავს ისეთ საკითხებს, რაც მაგალითად, რკინიგზაზე ხდება, საქართველოში ჯერ ვერ შედგა.

თანამედროვე ვანდალიზმი ანუ კულტურული მემკვიდრეობა, რომელზეც უარს ვამბობთ

სპეციალური რეპორტაჟი საყდრისის ოქროს უძველესი საბადოდან

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

მართალია, ბოლნისის რაიონის დაბა საყდრისში მდებარე უძველესი ოქროს საბადოს დამუშავება მიმდინარეობს, მაგრამ ობიექტის ირგვლივ დავა მაინც გრძელდება. კულტურული მემკვიდრეობის 5 ათასი წლის წინანდელ ძეგლს სტატუსი მოუხსნეს — კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ გადაწყვიტა, რომ ძეგლს სტატუსი თავიდანვე დაუსაბუთებლად მიანიჭეს. ქართველ და უცხოელ ექსპერტთა ნაწილი ამ გადაწყვეტილებას უპირისპირდება და უძველესი ცივილიზაციის თვალსაჩინო ნიმუშის გადარჩენას ითხოვს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2013 წლის 26 აპრილს კომპანია „ერ-ემ-ჯიმ“, რომელიც მიმდებარე ტერიტორიაზე ოქროს მოიპოვებს, კულტურის სამინისტროს საყდრისის საბადოსთვის კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მართებულობის შესწავლა სთხოვა. 2013 წლის 28 მაისს, მინისტრ გურამ ოდიშარიას ბრძანებით, მართლაც შეიქმნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთომადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია, რომელსაც აღნიშნული ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა დაევალა. კომისიამ დაასკვნა, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს კულტურის სამინისტრომ ძეგლის სტატუსი ამ ობიექტს კანონდარღვევით მიანიჭა, ამიტომ ოდიშარიას უწყებამ საყდრისის საბადოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოუხსნა, ეს გადაწყვეტილება კი ასე გაამართლა — აღნიშნული ძეგლი სპილენძის მომპოვებელი საბადოა და არა — ოქროსიო. კომისიის დადგენილებით, ის იარაღები, რომლებიც საბადოში აღმოჩნდა, ნიადაგზე მყიფე იყო; მეტიც, სამინისტროში აცხადებენ, რომ დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ამ ობიექტს ძეგლის სტატუსი მიენიჭა, სამინისტროში არ მოიძებნა.

ეროვნული სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი **ირინა ღამბაშიძე** ამ ისტორიის ერთ-ერთი მთავარი გმირია — 2006 წელს საბადოს ძეგლის სტატუსი სწორედ მისი და უცხოელი კოლეგების ძალისხმევით ჩატარებული ექსპედიციებისა და ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიენიჭა. ღამბაშიძე დღესაც იკვლევს საყდრისის საბადოს და გერმანელი კოლეგების ექსპედიციასაც ხელმძღვანელობს. ირინა ღამბაშიძის თქმით, სახელმწიფო არჩევანს წარმოებასა და კულტურულ მემკვიდრეობას შორის, სწორედ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ არ აკეთებს: **„საყდრისში მდებარე ისტორიული საბადო მსოფლიოში ყველაზე ძველი ძეგლია, სადაც ოქროს მოპოვება სამთო წესით ხდებოდა, სწორედ ამიტომ, მეცნიერთა ექსპედიციები დიდი ინტერესით სტუმრობენ მას. საყდრისის საბადოს შესახებ ყველა კვლევა და ლაბორატორიული დასკვნა 2005 წლის ნოემბერში კულტურის სამინისტროს ჩავაბარე, შემდეგ კი, ერთ წელიწადში ძეგლმა სტატუსი მიიღო, მაგრამ ჩემს მიერ წლების წინ ჩაბარებული არც ერთი კვლევა არქივში აღარ იძებნება“.**

შესაბამისად, სამინისტროს მიერ შექმნილმა კომისიამ დაადგინა, რომ ძეგლის კულტურული ღირებულების დამადასტურებელი სერიოზული კვლევა არ არსებობდა და კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მას უკანონოდ მიენიჭა.

„ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2004-2005 წლებში არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშების არსებობა ვერ დასტურდება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოფიციალური ცნობით, საყდრისის არქეოლოგიურ ობიექტზე 2004-2005 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები არ მოიპოვება აკადემიის მთავარ არქივში“, — წერია საყდრისის საბადოსთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროს სპეციალური კომისიის დასკვნაში.

ამასთან, კომისიამ დაასკვნა, რომ საყდრისში არაა ოქროს სამთო წესით მოპოვების უძველესი კერა — იქ სპილენძს მოიპოვებდნენ და შესაბამისად, ძეგლს ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი არ ეკუთვნის.

სპეციალურ კომისიას ეროვნული სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი უპირისპირდება და ამბობს, რომ ამ საქმეში მთავარი მოთამაშე მადნეულის ახალი მეპატრონე კომპანია „ერ ემ ჯია“. ასევე, ღამბაშიძის თქმით, არქეოლოგიურ ძეგლზე 10 ათასამდე ქვის იარაღია აღმოჩენილი, თან ძეგლის ძალიან მცირე ნაწილია შესწავლილი. ირინა ღამბაშიძეს მინისტრის ბრძანების ის ჩანაწერი აკვირვებს, რომლის მიხედვითაც, საბადოს მოძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭება. ღამბაშიძემ არ იცის, როგორ შეიძლება მთის მასივის გადატანა სხვა ადგილას ისე, რომ არ დაზიანდეს.

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ლალხორის“ თავმჯდომარე მირონ ფირცხელანი აცხადებს, რომ კულტურის მინისტრმა და სხვა ჩინოვნიკებმა სავალალო გადაწყვეტილება მიიღეს — გააუქმეს უძრავი ძეგლის სტატუსი, რომლითაც ეს ადგილი დაცული იყო და მას მოძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სადღაც, სხვაგან აშენდება ბუტაფორია, ჩვენი წინაპრების ოქროს მაღარო კი დაინგრევა: **„ოქროს მოპოვების დარგში ეს კაცობრიობის ცივილიზაციის პირველი ნაშთებია, ამიტომ სტატუსის გაუქმება ვანდალიზმია მხოლოდ საქართველოს კი არა, კაცობრიობის წინაშეც. მომხდარის გამო მოვითხოვთ, დადგეს ყველა იმ მაღალჩინოსნის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ამას ხელი მოაწერა“.**

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, საყდრისის საბადოში ჩასვლა და რეპორტაჟის მომზადება გადავწყვიტეთ. თბილისი-დმანისის „მარშუტკა“ დაბა კაზრეთის გავლის შემდეგ გვიჩერებს. გზისპირიდან მარჯვენა მხარეს, მაღლა ვხედავთ, რომ ოქროს მოსაპოვებლად გახურებული სამუშაოები მიმდინარეობს — ამის გამო მთის ქანებს ფერი შეცვლია: ზოგან მოწითალოა, ზოგან კი — ლურჯ-მწვანე. სახელდახელოდ გაკეთებულ გზაზე ტექნიკა მოძრაობს...

გზას ფეხით მიუყვები... მარჯვენა მხარეს, დაბლა, დიდი ხნის წინ მიტოვებული ეკლესია მოჩანს. ადგილობრივები ამბობენ, რომ აქ, საბადოს გარდა, სხვა ისტორიული ძეგლებიცაა და აქაურობას საყდრისიც ამიტომ ჰქვია. ცოტა ზემოთ, დანგრეული ქანების ნარჩენების უზარმაზარი გროვა გვხვდება. კლდის დიდი ქვები ნაძვების კორომამდე აღწევს და ტყისპირი დანგრეულ-ჩაჩეხილი აქვს. მუშაობა ამ ტემპით თუ გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, ნაძვების მთელ მასივს განადგურების საფრთხე დაემუქროს.

მთავარი გზა აქ იყოფა: ერთი მარცხნივ, ზემოთ მიდის, სადაც სიმაღლეზე წარმოების ადმინისტრაციაა დაბანაკებული — სამუშაო პროცესი ხელისგულზე აქვს და ყველაფერს აკონტროლებს; მარჯვნივ, უშუალოდ წარმოების ადგილისკენ მივემართები. გზად სამსახურეობრივი „პიკაპი“ გვეწევა, დახმარებას გვთავაზობს. სიარული და ფოტოგადაღებები მირჩევნია...

მეექვსე წელია, საბადოს ხუთი წერტილის აქტიური დამუშავება მიმდინარეობს. ისე, ტერიტორია კაზრეთის საბადოს დასაწყობებისთვის თურმე ადრიდანვე, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული გამოიყენებოდა.

მოვლენების ეპიცენტრს ვუახლოვდები. მუშები ისვენებენ, ამბობენ, ისტორიული საბადოს ათვისება სრული ტემპით მიმდინარეობსო. სამუშაო პირობებით, ანაზღაურებით უკმაყოფილოები არ არიან, თუმცა არის თუ არა საბადოში სათანადო რაოდენობის ოქრო, ამაზე ვერაფერს გვეუბნებიან — აბა, ამაში ჩვენ ვინ გაგვარკვევსო. დამშვიდობების შემდეგ თანამშრომლები, ყოველი შემთხვევისთვის, სამუშაო ადგილს გვეკითხებიან — ადრე, ადმინისტრაციის მოთხოვნით, გერმანელი და ქართველი ექსპერტები დაუკავებიათ და ახსნა-განმარტებისთვის პოლიციაში გადაუყვანიათ. ეს მაშინ მომხდარა, ვიდრე საბადოს ათვისებაზე ბოლო ნებართვა გაიცემოდა. ახლა, ექსპერტთა ნაწილის პროტესტის მიუხედავად, ბარიერი მოხსნილია და დამთვალიერებლებსაც პრობლემები აღარ ექმნებათ.

მოკლედ, საყდრისის საბადოს რეალობა ასეთია.

პრემიერი ქართველ მეზღვაურებს ევროკავშირის მიერ კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარებას ულოცავს

მილოცვაში ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც საქართველოს საზღვაო იმიჯზე დადებითად აისახება:

„22 ნოემბერს ევროკომისიის კომიტეტზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ევროკავშირის მიერ ქართველ მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარებას. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც დადებითად აისახება საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის იმიჯზე. ეს იმას ნიშნავს, რომ 18 000-მდე ჩვენს მეზღვაურს მიეცა უფლება და შესაძლებლობა, დასაქმდეს ევროკავშირის ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე.

ქართველ მეზღვაურთა სერტიფიკატების აღიარება გულისხმობს, რომ საქართველოში მეზღვაურთა განათლების არსებული სისტემა სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

იმედი მაქვს, ჩვენი მეზღვაურები ღირსეულ კონკურენციას გაუწევენ ევროპელ და ამერიკელ კოლეგებს, ქართველი მეზღვაურები ისევე დაფასებულები და დაცულები იქნებიან, როგორც მათი ბრიტანელი, ფრანგი და ამერიკელი კოლეგები. ვულოცავ ჩვენს მეზღვაურებს ამ აღიარებას!“

„პირველი“

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს პაპუნა უგრეხელიძე უხელმძღვანელებს

პაპუნა უგრეხელიძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე იგი საჯარო რეესტრის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა.

პაპუნა უგრეხელიძე 1974 წელს, ქ. თბილისში დაიბადა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, მოგვიანებით ქ. ფრაიბურგის ალბერტ ლუდვიგის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა.

1996 წლიდან სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. სხვადასხვა დროს ეროვნული უშიშროების საბჭოს თავდაცვის საკითხთა სამსახურში, თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროში მუშაობდა, სს „ტაოპრივატბანკში“ VIP — სამსახურის უფროსად, USAID-ის პროექტის (UEDC) დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მენეჯერად. გავლილი აქვს სხვადასხვა საერთაშორისო სასწავლო კურსი, მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში, სემინარსა და სიმპოზიუმში. ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს. ჰყავს ერთი შვილი.

„პირველი“

თბილისში 800 საგზაო ნიშანი უკანონოდ არის დადგმული

დავით დევიძე
593-219-042

არასამთავრობო ორგანიზაცია „გზა, მძღოლი, სამართალის“ პრეზიდენტი რობერტ იანტბელიძე შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს იმ მძიმე მემკვიდრეობის გამოსწორების გზებს სთავაზობს, ახალ ხელისუფლებას მემკვიდრეობით რომ ერგო.

— მინისტრის განცხადება, რომ გაიზრდება თანამშრომლობის ხარისხი საზოგადოების წარმომადგენლებთან, ნიშნავს იმას, რომ ამ ახალგაზრდა კაცს კარგად აქვს ნაფიქრი, როგორ ამაღლდეს საზოგადოების თვალში პოლიციის როლი. ცხადია, ეს პირველ რიგში, პოლიციის დეპოლიტიზებითაა შესაძლებელი. ახალ ხელმძღვანელობას მოუწევს იმ ლაფსუსების გამოსწორება, რაც მძიმე მემკვიდრეობის სახით ერგო და რის გამოც ხალხი უკმაყოფილოა. მხედველობაში მაქვს ჯარიმის შემცირება ისეთ შეგნებულ დანაშაულზე, როგორიცაა წითელ შუქნიშანზე გავლა. ჩვენ რას ვუფრთხილდებით — ადამიანის სიცოცხლეს თუ დამრღვევი მძღოლის ჯიბეს? ამ დარღვევისთვის 50 ლარი იყო ჯარიმა და 30 ლარზე დაიყვანეს. ზოგ შემთხვევაში ასეთი შემცირება მისაღებია, მაგრამ მთლიანობაში, ეს უნდა მომხდარიყო საკითხის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ. მაგალითად, ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის 100-ლარიანი ჯარიმა იყო უადგილო და უაზრო. ესეც შეამცირეს ანუ არსებობს რაღაც, რაც კარგია, რომ შემცირდა, მათ გვერდით კი არსებობს ისეთებიც, რაც არა მარტო არ უნდა შემცირებულიყო, პირიქით, უნდა გაეზარდათ. მაგალითად, ევროპაში ვერსად ნახავთ, წითელზე გავლისთვის ასეთი შეღავათიანი ჯარიმები იყოს იმიტომ, რომ ეს ძალიან დიდი დარღვევაა. წარმოიდგინეთ, გადიხართ მწვანეზე, უცებ ვიღაც გამოვარდება და გეჯახება...

— რატომ შეამცირეს ჯარიმა ამ დარღვევისთვის?

— თავისთავად, ბევრი რამ იყო შესაცვლელი და დეტალებს აღარ ჩაუღრმავდნენ. დიდი ჯარიმების პრობლემა მართლა არსებობდა. ეს მეცნიერული გათვლების შემდეგ უნდა მომხდარიყო. თბილისის მაგალითი — ვაკე, საბურთალო და სხვა პრესტიჟული უბნები ავიღოთ. გინახავთ, აქ რამდენ დარღვევას აკეთებს შუქნიშანზე „მაყუთა“ ხალხი? ორმოცდაათლარიან ჯარიმას არად აგდებდნენ და ახლა ხომ მთლად წავლენ ხელიდან. მოკლედ, გადაწყვეტილება ჩვენი ხალხის ხასიათიდან გამომდინარე უნდა მიეღოთ. რუსს რომ ეტყვი — „ნე პალოჟენა“, ემორჩილება, ჩვენი კი შეიძლება არ აპირებდა დარღვევას, მაგრამ უკვე ჯიბრზე დაარღვევს, როგორ თუ გაფრთხილება შემომბედეს. ერთი სიტყვით, ზოგიერთ რამეს სასწრაფოდ სჭირდება მოწესრიგება. მაგალითად, მოგვიდა 100-ლარიანი ჯარიმა სიჩქარის გადაჭარბებაზე. 21-საუკუნეა, კომპიუტერული ხანა, ჯარიმის ქვითარი უნდა მოგდიოდეს მინიმუმ ათ დღეში. ეს საჭიროა იმისთვის, რომ კარგად გახსოვდეს, რა და როგორ დაარღვიე. სამი თვის შემდეგ რომ მოგივა ჯარიმა, რაღა გახსოვს. თან დაუკვირდით, როგორ არის დაფიქსირების სისტემა. ვთქვათ მე და თქვენ მივდივართ ტრასაზე 80 კილომეტრ საათში სიჩქარით. ჩვენს გვერდით მოდის ვინმე ხალამპრე 120 კილომეტრით. ვიდეოთვალი აფიქსირებს სამივე მანქანას. წკაპ და დააფიქსირა 120 კილომეტრი საათში, ხოლო როცა ჯარიმის ქვითარი მოგივა სამი თვის შემდეგ, როგორ უნდა ამტკიცო, რომ ამ სიჩქარით არ მოძრაობდი?! ეს არასწორი მიდგომაა. რაღა მნიშვნელობა აქვს, ჯარიმის შემცირებით თუ მიკეთებ შეღავათს, როცა აგერ, სხვისი დანაშაულისთვის მაჯარიმებ? ძალიან ბევრია ასეთი ხალხი — სხვის გამო იხდიან ჯარიმებს და ვერ ამტკიცებენ, რომ არ დაურღვევიათ.

— ეს საკითხი სასწრაფოდაა მოსაგვარებელი.

— მეორე მაგალითსაც გეტყვით: თბილისში დასავლეთიდან რომ შემოდიხარ, 110 კილომეტრია დასაშვები ავტომაგისტრალზე. ზაჰესის ხიდთან, მოსახვევში უცებ გაქვს 60 კილომეტრი. გაივლი ას მეტრს და მერე უკვე 80 კილომეტრ საათში გაქვს. რანაირად უნდა არეგულიროს მძღოლმა სიჩქარე? 110-დან როგორ უნდა ჩამოხვიდე 60-ზე, მკვეთრად თუ არ დაამუხრუჭე? ასე დამუხრუჭება კი კანონითაა აკრძალული, თუკი რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა არ არის. წესით, ნელ-ნელა უნდა ჩამოვიყვანოთ სიჩქარე.

მოკლედ, ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ წინა ხელისუფლებამ დაგვიგო ხაფანგები სიჩქარის გადაჭარბების გამო ჯარიმის შეტენვაზე და ამას უნდა სასწრაფოდ გამოსწორება.

ანდა, ვთქვათ — გავდივართ თბილისიდან. დასაშვები სიჩქარეა 80 კილომეტრი საათში და უცებ „კარფურთან“ გვიკიდებენ 50 კილომეტრს. საუბარია სამზოლიან მოძრაობაზე და ვის მოუვიდა ეს აზრად, ხაფანგი თუ არ არის? აქ რომ იყოს ერთზოლიანი მოძრაობა, კიდევ გასაგები იქნებოდა. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ იქ ისხდნენ არაპროფესიონალები, რომლებიც „პირნათლად“ ემსახურებოდნენ მიშას რეჟიმს და ჰქონდათ ერთი დევიზი: არ გააჩერო მხოლოდ ყვითელი მიკროავტობუსები, დანარჩენს რაც მეტს დააჯარიმებ, უკეთესი. მოკლედ, ეს ყველაფერი სენივითაა გადმოყოლილი სააკაშვილის ხელისუფლებიდან.

ვთავაზობთ სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას, ჟურნალისტების, შესაბამისი არასამთავრობოებისა და კვალიფიციური სპეციალისტების ერთობლივ კომისიას, რომელიც წარადგენს საქმიან წინადადებებს საგზაო მოძრაობის წესების გაუმჯობესების მიზნით. აუცილებელია კომისიის შექმნა, არ იქნება ცუდი, თუკი მინისტრი თვეში ერთხელ, თუნდაც ერთი საათით, შეხვდება ამ კომისიას და აქტუალურ საკითხებს ერთად განიხილავენ, რაც საშუალებს მისცემს, მიიღოს აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილება.

ასეთი კომისია არსებობს ისეთ ზესახელმწიფოში, როგორიცაა იაპონია, რისი წყალობითაც საზოგადოება და სამართალდამცველი სტრუქტურები იქ მჭიდროდ თანამშრომლობენ.

— ეს ალბათ ავარიების შემცირებასაც შეუწყობს ხელს.

— როცა დიდი ავარიები ხდება და ადამიანები იღუპებიან, ყველა სახელმწიფოში მიმდინარეობს გამოძიება. ეს კეთდება საზოგადოებრივ კომისიასთან ერთად და სწორედ ასეთი კომისიის ჩამოყალიბებას ვთავაზობ ბატონ ალექსანდრე ჭიკაიძეს თქვენი გაზეთის საშუალებით. საზოგადოების ჩართულობა ისე, როგორც არასდროს სჭირდება ახალ მთავრობას. მიჩვეულები იყვნენ კარჩაკეტილობას და ფულის შეწერას სამინისტროები, ეს მანკიერი მხარე ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაქრეს. საზოგადოებასთან ურთიერთობით მთავრობაც განიმტკიცებს ავტორიტეტს და საზოგადოებაც კმაყოფილი იქნება.

საგზაო ნიშნებიც გადასახედია. დაახლოებით 800-ზე მეტი ნიშანი დგას დღეს თბილისში არასწორად, რაც ნიშნავს, რომ მინიმუმ 800 ნიშანი მუშაობს მძღოლების დასაჭერად და დასაჯარიმებლად. ეს შემოსავლის წყარო იყო მერაბიშვილის დროს და კვლავ იმ ინერციით მივდივართ.

მაგალითად ორი მანქანა შეეჯახა ერთმანეთს. მძღოლი მიდის პატრულში და ითხოვს: მომეცით, ჩემი ავარიის ნახაზის ასლი და რაც საჭიროა, ათი თუ თხუთმეტი ლარი, გადავიხდიო, ცოცხალი თავით არ მისცემენ, რადგან ერთიც დააჯარიმონ და მეორეც. მართალი აღარავინ არსებობს — ასეთი სისტემა შექმნეს და ამას უნდა გამოსწორება. ვის ვედრებით, სომხეთსა და აზერბაიჯანს? ერთ ბოთლ „ბორჯომს“ მისცემ ინსპექტორს და გაგატარებენ. ეს გვინდა? ვფიქრობ, რომ არა. ევროპას თუ ვებღაუჭებით, ევროპული ღირებულებებიც უნდა დავამკვიდროთ. ვიცი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი მინისტრობის პერიოდში აპირებდა ამ საკითხის წამოწევას, მაგრამ ვერ მოასწრო, თუმცა არც ახლაა გვიან. სასიხარულოა, როცა ახალი მინისტრი ინტერესდება საზოგადოებასთან ურთიერთობით და მანკიერი მემკვიდრეობის აღმოფხვრით. ამის გაკეთება ხომ ერთობლივი და გამჭვირვალე საქმიანობითაა შესაძლებელი.

საპატრულო პოლიციამ ავტოპარკი ათი ახალი მოტოციკლით განაახლა

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, რებრენდინგის ფარგლებში, ავტოპარკი ახალი მოტოციკლებით განაახლა. დღეიდან დედაქალაქს 5 მოტოციკლის ნაცვლად, „იამაჰა“-ს მარკის 10 ახალი, „JX 900“-ის მოდელის მოტოციკლი და მოტოპატრულის ეკიპაჟები მოემსახურება. მოტოპატრულის ეკიპაჟები მთლიანად იქნებიან აღჭურვილნი სპეციალური ახალი ფორმებით და მოტოპოლიციელისთვის საჭირო ყველა ტექნიკური საშუალებით.

საპატრულო მოტოციკლების ძირითადი დანიშნულება პიკის საათებში დედაქალაქის ქუჩების საცობებისგან განტვირთვა და მოძრაობის რეგულირება იქნება. ახალი მოტოები თბილისის გადატვირთულ ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე დაიწყებენ პატრულირებას.

იაპონიიდან მოწვეულმა ინსტრუქტორმა 20 პატრულ-ინსპექტორს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი ჩაუტარა. სწავლებაში მონაწილე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს „იამაჰას“ სპეციალურმა წარმომადგენელმა ტრენინგის დასრულების შემდეგ შესაბამისი სერტიფიკატები გადასცა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შსს-ს აჭარის სამხარეო სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბათუმში მდებარე კაფე-ბარ „ლილეს“ და სასტუმრო „თიკოს“ მფლობელი — 1961 წელს დაბადებული თამარ ს. და მისი თანაშემწე - 1961 წელს დაბადებული მარინა თ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ოთახებს სისტემატურად უთმობდნენ.

სასტუმროსა და კაფე-ბარში მომუშავე პერსონალი და ქალბატონები მოწმის სახით დაიკითხნენ. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 254-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით 6 პირი დააკავეს. აღნიშნულმა პირებმა 25 ნოემბერს, 19 საათზე, სადახლოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს სამი პირი: მერაბ კალანდაძე, დილარ მუკბანიანი და გიორგი ფირანიშვილი. თავდამსხმელები ორი ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ და შემთხვევის ადგილიდან მიმალვას შეეცადნენ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ბრალდებულები მომხდარიდან რამდენიმე წუთში ავტომაგისტრალზე დააკავეს. ამოღებულია „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი.

დაჭრილები შემთხვევის ადგილიდან მარნეულში, „ჯეო–ჰოსპიტალში“ გადაიყვანეს. ორი მათგანი — მერაბ კალანდაძე და გიორგი ფირანიშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

გამოძიებას განზრახ მკვლელობის ფაქტზე ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს (სსსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ჰოროსკოპი
27 ნოემბერი

ვერძი — დღე საინტერესოდ ჩაივლის, შესაძლოა წარმატება კარიერაში, თუმცა მნიშვნელოვანია, კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან.

კურო — ნუ დაიტვირთებით უინტერესო, მოსაწყენი საქმეებით. თქვენი ადგილი იქ არის, სადაც გამჭრიახობა და შემოქმედებითი მიდგომაა აუცილებელი.

ტყუპები — შანსი გაქვთ, მეგობრების წრეში დრო შესანიშნავად გაატაროთ, მაგრამ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება თავად მოგიწევთ, ბიზნესი კი სხვა დროისთვის გადადეთ.

კირჩხიბი — მოსალოდნელია ცვლილებები, საქმიანი შეხვედრა, შედეგი კი თქვენთვის სასიკეთო იქნება. უყავით მიზანმიმართული და ეცადეთ, ნაკლებად აყვეთ პროვოკაციებს.

ლომი — მოგიწევთ, მომჭირნეობა გამოიჩინოთ, რადგან ფინანსური ფონი სახარბიელო არ არის. შეეცადეთ, ამან განწყობა არ გაგიფუჭოთ — პოზიტიური ტენდენციები იმდენად ძლიერია, რომ მხოლოდ ინტუიციას მიყევით და წარმატებაც არ დააყოვნებს.

ქალწული — მოსაწყენი პერიოდი გელით და გარშემომყოფებთან ურთიერთობა გიჭირთ. შეეცადეთ ახალი სფერო გამოძებნოთ, რადგან გაქვთ შანსი, წარმატებას მიაღწიოთ.

სასწორი — დღე უამრავ სასიამოვნო შთაბეჭდილებას გპირდებათ. სამსახური და პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია — პოტენციურ პარტნიორებს სწორედ იქ შეხვდებით, სადაც გასართობად მიდიხართ.

ღრიანკალი — აღმოაჩენთ, რომ ყველაზე რთული უკან მოიტოვეთ, თუმცა ნუ მოდუნდებით, რადგან დიდი ძალისხმევა გჭირდებათ დასახული მიზნის მისაღწევად. გადაწყვეტილებების მიღებისას ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

მშვილდოსანი — წარმატებული დღეა მათთვის, ვისაც პროფესიული ზრდის სურვილი აქვს. ემოციური ფონი სტაბილურია და კარგი ურთიერთობა გაქვთ ახლობლებთან.

თხის რქა — არც ერთი ამოცანა გადაუჭრელი არ დაგრჩებათ, მაგრამ ეცადეთ, მარტომ არ იმოქმედოთ. პირად ცხოვრებაში სიურპრიზი გელით, მხოლოდ ნუ ეცდებით თქვენი რჩეულით მანიპულირებას.

მერწყული — საქმიანი ურთიერთობისთვის წარმატებული დღეა. განსაკუთრებით კი მათ გაუმართლებს, ვინც მივლინებაში გაემგზავრება. უბრალოდ გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის გარდა ცხოვრებაში სხვა ფასეულობებიც არსებობს.

თევზები — ახალი პერსპექტივა გეხსნებათ, რომლითაც დაუფიქრებლად უნდა ისარგებლოთ, თქვენი პროფესიონალიზმიც ფასდება, მაგრამ არ მოდუნდეთ — მოიპოვეთ მათი ნდობა, ვის მიმართაც გულგრილი არ ხართ.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

სოციალური ქსელი მიცვალებულთათვის



რუსეთში ახალი საიტი ამოქმედდა, რომელსაც „გახსოვდეს" ჰქვია და მომხმარებლებს გვერდის გახსნა შეუძლიათ გარდაცვლილებისთვის. საიტზე ახლობლების, მეგობრების ან ცნობილი ადამიანების „დარეგისტრირება" ხდება. უკვე შექმნილია „პროფილები", რომელიც ცნობილ ჟურნალისტს, ვლადისლავ ლისტევს, პატრიარქ ალექსეი მეორეს, მსახიობ ალექსანდრ აბდულოვსა და სხვა ცნობილ პიროვნებებს ეძღვნება. საიტი „გახსოვდეს" სოციალური ქსელია, „კედელზე" კი სტუმრებს კომენტარის დატოვება შეუძლიათ, გათვალისწინებულია თემატური განყოფილებებიც, სადაც მორგების, სასაფლაოების, ეკლესიებისა და სარიტუალო სააგენტოების სია დევს. ამ „საჭირო ინფორმაციის" გარდა, საიტზე სხვადასხვა ერების დაკრძალვის ტრადიციებსა და წესჩვეულებებსაც გაეცნობით.

ალკოჰოლის „შემცვლელს" ქმნიან

ბრიტანელი სწავლულები ახალი ნივთიერების შექმნაზე მუშაობენ, რომელიც ალკოჰოლურ თრობას შეჩვევისა და ბახუსის გარეშე გამოიწვევს, ეფექტის ბლოკირება კი ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი ანტიდოტის საშუალებით... ასე რომ, მომხმარებლებს სასმელი, მიღების შემდეგ უპრობლემოდ შეუძლიათ საჭეს მიუსხდნენ, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ალკოჰოლის შექმნაზე ნეიროფსიქოფარმაკოლოგების საკმაოდ ცნობილი ჯგუფი მუშაობს ლონდონის საიმპერატორო კოლეჯიდან, გასაგები მიზეზების გამო, პროექტის დაფინანსება არავის სურს. სწავლულები მოუწოდებენ ინვესტორებს, მხარი დაუჭირონ მათ წამოწყებას — ეს სერიოზული რევოლუცია იქნება ჯანდაცვაში ისევე, როგორც ელექტრონული სიგარეტი.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ჰოროსკოპი
28 ნოემბერი

ვერძი — ნუ იჩქარებთ ხელშეკრულების გაფორმებას ან საკუთარ თავზე რაიმე ვალდებულების აღებას, რადგან შესაძლოა ეს სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს და როცა ამას მიხვდებით, გვიან იქნება.

კურო — გეძლევათ შესაძლებლობა, დაწყებული წარმატებით დაასრულოთ, თუმცა არ არის გამორიცხული ინტელექტუალური ბრძოლა. მზად იყავით — ახლანდელი მოკავშირეები კონკურენტების ბანაკში გადავლენ.

ტყუპები — საქმეში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევთ და პროფესიულ პოზიციებს გაიმყარებთ, თუკი ხელმძღვანელობასთან კამათს თავს დაანებებთ.

კირჩხიბი — იმ საკითხებისადმი გაგიჩნდებათ ინტერესი, რასაც აქამდე მხოლოდ ინერციით აკეთებდით — სამომავლო გეგმების განხორციელების სურვილი მოსვენებას არ გაძლევთ. გაუზიარეთ თქვენი განცდა მას, ვისაც ენდობით.

ლომი — შეგიძლიათ თავს ნებივრობის უფლება მისცეთ. ვარსკვლავები დიდი ხნის ნატვრის ასრულებას გპირდებიან, მხოლოდ ახალ ნაცნობებთან ფრთხილი იყავით — ზედმეტი გულახდილობა უსიამოვნებას მოგიტანთ.

ქალწული — პრაქტიკულად, ყველა საკითხის მოგვარებას შეძლებთ, რაშიც ინტუიცია დაგეხმარებათ. სწორედ ალღოს წყალობით აარიდებთ თავს უსარგებლო ხარჯსა და უპერსპექტივო დაბანდებას.

სასწორი — ოჯახის წევრები მზად არიან, გაგებით მოეკიდონ თქვენს ყველა ინიციატივას და მოგისმინონ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი თქვენს შეხედულებას არ იზიარებენ.

ღრიანკალი — სასიამოვნო საუბარი გელით მეგობრებთან, არც ოჯახური პრობლემებია მოსალოდნელი, თუმცა შესაძლოა, ინტუიციამ გიღალატოთ, ამიტომ ლოგიკა დღეს ძალიან გჭირდებათ.

მშვილდოსანი — შესაფერისი პერიოდია ახალი მიზნების დასახვისთვის. თუმცა ამ საკითხების გახმაურება დღეს ნამდვილად არ ღირს, სჯობს, შესაფერის მომენტს დაელოდოთ.

თხის რქა — არსებული გაუგებრობა მალე დასრულდება და თქვენი ცხოვრებაც ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება. გაითვალისწინეთ მეგობრების რჩევები და ბევრ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან.

მერწყული — ნაკლებად კრიტიკული იყავით იმ ადამიანების მიმართ ვინც გიყვართ. გაითვალისწინეთ, რომ უნაკლო არც თქვენ ხართ და კომპრომისზე წასვლაც საჭიროა.

თევზები — დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, წარმატების მისაღწევად. დაიცავით საკუთარი აზრი და საქმიანი მოლაპარაკება თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

სუდოკუ

ადვილი

6			3		4			
		1	9	8		7	5	
		7						
7			2			5		4
2		4			9			1
						9		
	9	3		1	5	4		
			8		2			6

სტანდარტი

	7		2					
5				6	3	1		
	4	3						
				5	6	4		
	1	5				3	6	
		2	3	1				
						6	5	
		9	5	3				2
					7		3	

რთული

			7		6	3	5	
5				4		7		1
		6						4
	9		4	2				
7			3	1	8			9
				6	5		7	
1						4		
9		4		7				3
	5	3	1		4			

ექსპერტი

	4							
	2		5			1		
5				7			3	
	3	9	8				4	
		7		6		9		
	8				1	6	2	
	9			8				4
		2			9		6	
							7	

„ელექტროსადგურს" მაკარონზე ამუშავებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში მალე ახალი ენერგოდანადგარი ამოქმედდება, რომელიც ხორბლის მაკარონზე, სახელად „უდონზე" იმუშავებს. პროექტი, რომელიც დაახლოებით 800 ათასი დოლარი ჯდება, იაპონურმა კორპორაცია „ტიიოდამ" შექმნა. „ლაპშაზე" მომუშავე პირველი „ელექტროსადგური" ქალაქ ტაკამაცუში ამოქმედდა — ენერგოდანადგარი უზარმაზარ, 8-მეტრიან რეზერვუარს წარმოადგენს, რომელშიც 37 გრადუს ტემპერატურაზე მაკარონი და სხვა საკვები ნარჩენები დუღდება, მასთან მიერთებული ტურბინა კი მოქმედებაში მოჰყავს დიდი რაოდენობით მეთანს. ასეთი „ელექტროსადგურის" მუშაობისთვის ყოველდღიურად 1,5 ტონა „ლაპშა" და ერთი ტონა საკვები ნარჩენებია საჭირო. ავტორების განცხადებით, მიღებული ენერგია საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ელექტროენერგიით 50 კერძო სახლი უზრუნველყონ. იაპონიაში ეს რეგიონი სწორედ „უდონითაა" განთქმული, მის მწარმოებლებს კი დიდი რაოდენობის ნარჩენები უგროვდებათ. საწვავად ასევე აპირებენ, საკვები ნარჩენები კაფე-რესტორნებიდანაც „მოიმარაგონ". „ელექტროსადგური" ჯერჯერობით ტესტურ რეჟიმში მუშაობს, მომავალი თვიდან კი მისი სრული ამოქმედება იგეგმება.

უველაზე კომფორტული ასაკი მამაკაცებისთვის

სპეციალისტების განცხადებით, ძლიერი სქესის წარმომადგენლები მხოლოდ 54 წლის ასაკში გრძნობენ თავს ზრდასრულად — ამ დროს ისინი საკუთარ მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად აფასებენ, ექსპერტების განცხადებით კი, დაგვიანებული კომფორტის შეგრძნება ძლიერი ფინანსური ზეწოლისა და გვიანი მამობის შედეგია. სპეციალისტთა გამოკვლევამ, რომელშიც 1000-ზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა, აჩვენა, რომ მამაკაცისთვის ყველაზე დიდი პრობლემა სახლის არქონაა, მათ ასევე აშინებთ გამელოტება და სამსახურის დაკარგვა, სიბერე კი ჭაღარასა და სიმსუქნესთან ასოცირდება.



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	8	6	2	5	9	7	3	4
9	5	4	7	6	3	8	2	1
7	3	2	4	1	8	9	6	5
5	6	7	3	4	2	1	9	8
8	9	3	1	7	6	5	4	2
4	2	1	8	9	5	6	7	3
3	7	9	5	8	4	2	1	6
6	4	8	9	2	1	3	5	7
2	1	5	6	3	7	4	8	9

სტანდარტი

7	6	2	3	1	9	5	8	4
5	9	3	2	8	4	7	1	6
4	1	8	7	6	5	2	9	3
6	3	5	4	9	1	8	2	7
2	8	1	6	3	7	4	5	9
9	7	4	8	5	2	6	3	1
8	2	7	1	4	3	9	6	5
3	5	6	9	7	8	1	4	2
1	4	9	5	2	6	3	7	8

რთული

6	8	9	7	1	5	3	4	2
4	3	2	9	8	6	1	7	5
1	7	5	2	4	3	6	9	8
9	2	6	5	3	4	8	1	7
8	1	4	6	2	7	9	5	3
7	5	3	1	9	8	2	6	4
5	9	1	8	7	2	4	3	6
3	6	8	4	5	1	7	2	9
2	4	7	3	6	9	5	8	1

ექსპერტი

3	1	9	8	7	6	5	4	2
2	6	7	3	4	5	1	9	8
8	5	4	1	2	9	7	6	3
5	9	6	7	8	2	4	3	1
1	8	3	6	5	4	2	7	9
7	4	2	9	1	3	8	5	6
9	2	5	4	6	1	3	8	7
6	7	1	5	3	8	9	2	4
4	3	8	2	9	7	6	1	5

მე-9 გვერდი: 1. სვინგი; 2. ვისკოზა; 3. ნეილონი; 4. ბურახი; 5. უსურვაზი; 6. ამუდარია; 7. ესკიზი; 8. ლორკა; 9. კამასუტრა; 10. გუდუნა; 11. ძუა; 12. ჩარი; 13. ნაძვი; 14. ბოლოკი; 15. ირისი; 16. აურა; 17. ნარი; 18. ზონა; 19. ზაირი; 20. ფრანსუა; 21. ნაომი; 22. ამირა; 23. უსიერი; 24. აია; 25. ოფსაიდი; 26. ფარშევანგი; 27. ალიოხინი; 28. დაივინგი; 29. პელერინა; 30. ლაპი; 31. კოფო; 32. აუსტერლიცი; 33. ვალეტა; 34. შიო; 35. ხრიდოლი; 36. ჰაე; 37. კანოტიე; 38. ფერმა; 39. ვაი; 40. ალთაი; 41. ალტი; 42. ნიკელი; 43. ჰონიარა; 44. კონან; 45. მაორი; 46. ნუგა; 47. კოლიე; 48. იფქლი; 49. მოკლე; 50. „ნაიკი"; 51. „აიდა"; 52. ლიმასოლი; 53. მარენგო; 54. კამიუ; 55. ჯანი; 56. ტიტანი; 57. ქცია; 58. მარო; 59. ესტაფეტა; 60. ნუკერი; 61. ატამი; 62. „ასი"; 63. ინია; 64. კაირო; 65. ლიმა; 66. იონი; 67. მაგატე; 68. აგუტი; 69. ორმო; 70. ფარი; 71. სისლეი; 72. „ონა"; 73. ანუ; 74. სამოა; 75. სიკოკუ; 76. ფაუ; 77. აბა; 78. ონილი; 79. მის; 80. იეტი; 81. იაუნდე; 82. ესაია; 83. ურიკა; 84. აბუ; 85. შტანგა.

ჩინელი ქალები საქმროს ქირაობენ

შესაფერი მეორე ნახევრის ან პარტნიორის პოვნა რთულია, განსაკუთრებით კი ჩინეთში, ამიტომ აქაური მარტოხელა ქალები მამაკაცს სპეციალურ ვებსაიტზე ეძებენ, რომლის წყალობით, მანდილოსანს შეყვარებულის დაქირავება, სულ მცირე, სამი დღით შეუძლია, დამკვეთისთვის კი ყველაფერი ფასიანია: სადილი რესტორანში, გასეირნება პარკში, შოპინგი, კოცნაც კი... მხოლოდ ხელის ჩაკიდებაა უფასო. საქმე ის გახლავთ, რომ ჩინეთში მარტოხელა ქალი ცუდ ასოციაციას იწვევს, განსაკუთრებით არ უნდათ, ახალ წელს ეულად შეხვდნენ, როცა ოჯახის წევრები გრანდიოზულ დღესასწაულებს აწყობენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125 დაცვის პოლიცია

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).